ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

75 X-XII

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის სამშაბათს | №59 (1689) | 29 IX – 5 X. 1998წ. | ● ფასი 50 თეთრი

## რისთვის მცემა «ომონმა»?!
## ანუ
## დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოს ხელკეტებით ვერ ააშენებთ, ბატონებო!





მესამე გვერდი





მეორე გვერდი



## ვახტანგ გოგუაძე ლელთ ღუნიას წინაალმდეგ, ანუ „პერმანენტულად ვკლავდით ილიას“

## ჯერ არასდროს გაუმარჯვია იმ ერს, რომლის მეთაურსაც გამარჯვების რწმენა არა აქვს



მესამე გვერდი

## ე. შევარდნაძე დიდ ფოსტას ჩამოვიდა...

„კომუნისტებმა რაც მოგცეს, დემოკრატებმა წაგართვეს“

მერვე გვერდი

## ინტერნეტი და საქართველოს საკითხები

«რუსეთის იმპერიის ხალხების წითელი წიგნი»



მეცხრე გვერდი

## ლენინური პრემიის ლაურეატი — პლაგიატორი?

ისტორიკოს პეტრე უშაკოვის საიდუმლო



მეცხრე გვერდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვახტანგ გოგუაძე ლელთ ღუნიას წინააღმდეგ, ანუ „პერმანენტულად ვკლავდით ილიას“

ბრჭყალებში ჩასმული სიტყვები ამოწერილია „ახალი ქართული გაზეთიდან“ (3.VIII.1998). გაზეთის 8 გვერდი ეძღვნება ილიას იმასთან დაკავშირებით, რომ „2. აგვისტოს საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ აღნიშნა ილია მართლის (ჭავჭავაძის) წმინდანად კურთხევის... დღე“. ამ ღირსშესანიშნავ ამბავს რომ გვაუწყებს, გაზეთი გულისტკივილით დასძენს:

„ილიას წმინდანად კურთხევის შემდგომ თვალნათლივ გამოჩნდა საბედისწერო უფსკრული, რომელიც მთელი მეოცე საუკუნის განმავლობაში ღრმავდებოდა ქართველობასა და ამ ღვთით მოვლენილ მოღვაწეს შორის. პერმანენტულად ვკლავდით ილიას, როგორც ჭეშმარიტ იდეას, როგორც ერთადერთ ხსნას საკუთარი ცოდვებისაგან. და განა მარტო ის, რომ მისი მკვლელების პარტიას ლამის დღემდე ტკბილად ვეწყობით... ყველაზე უფრო საგანგაშო ისაა, რომ ნორმად ვაქციეთ მისი იდეების გაყალბება.“

თითქოს გაზვიადებაა, მაგრამ რომ გამახსენდა სამი კვირის წინათ გამოქვეყნებული ინტერვიუ ვახტანგ გოგუაძესთან, მივხვდი „ახალი ქართული გაზეთის“ გულისტკივილს: ილია ჭავჭავაძის „იდეების გაყალბება“ დღესაც გრძელდება, ილიას „მკვლელების პარტიის“ კუდები ჯერ კიდევ ბოგინობენ.

შეიძლება ყველამ არც იცის, რომ ვ. გოგუაძე კომპარტიის ფუნქციონერია: იგი თბილისის უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივანი გახლდათ. ამიტომ სულაც არ არის შემთხვევითი მისი დღევანდელი სიმპათიები კომუნისტებისა და რუსეთისადმი. იგი ახლაც სოციალიზმისა და კომუნიზმისაკენ იცქირება და ღმერთმა ხელი მოუმართოს — მშვიდობიანად შეიყვანოს კომუნიზმის ბრწყინვალე შენობაში. ალმაშფოთებელია მხოლოდ მისი დამოკიდებულება ილია ჭავჭავაძისადმი.

ვახტანგ გოგუაძე ამბობს: „ილიას გზით ვიაროთ და რუსეთთან ურთიერთობა ისეთნაირად ჩამოვაყალიბოთ, როგორც ეს დიდ ილიას ესმოდაო“ („ახალი საქართველო“, №20, 1998). დავიმახსოვროთ ეს და გავსინჯოთ, როგორია ვ. გოგუაძის ნააზრევი. თურმე:

რუსის ჯარს საქართველოდან „რომ გაიყვანთ, ქართველი ერი არ იარსებებს“. საქართველოში „რაც კი რამეა საერო შენობა, რუსეთის იმპერიის დროსაა აშენებული“; „ის კაცი, მეფისნაცვალი (ნამესტნიკზეა საუბარი — ვ. პ.), არ იყო ცუდი კაცი“; „ათი წელიწადია, რუსეთი საქართველოში არ არის“; „თქვენ გგონიათ, აფხაზეთი რუსეთმა წაგვართვა? — არ უარობს ამერიკა, რომ მან წაგვართვა“; „რუსებს რომ უყვართ ქართველები, ნეტა ისე ქართველებს უყვარდეთ საქართველო“...

აი, ამ აზრების პატრონი ვ. გოგუაძე გვეუბნება, „მივყვეთ ილიას გზას“, „რუსეთთან ურთიერთობა ისეთნაირად ჩამოვაყალიბოთ, როგორც ილიას ესმოდაო“!

ეს რომ თქვა ვ. გოგუაძემ, კორესპონდენტმა „მგზავრის წერილები“ შეახსენა მას. „მხატვრულ პერსონაჟს რას ათქმევინებს, ეს არ არის გადამწყვეტი. ეგეც რომ არა, იქ არსად არ არის ანტირუსული განწყობილება“ — იხტიბარს არ იტეხს პარტკომი.

ხედავთ, რა ყოფილა?! მოხევე ლელთ ღუნია რომ ამბობს, წინანდელი დრო უკეთესი იყო - მაშინ „ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს“, ახლა კი რუსების ხელში ვართ, „წარხდა ქართველთა სახელი, ქართველთა წესთწყობაი... წარხდა, მოისრნა ქვეყანა“, ეს თურმე მწერლის (და მთელი ერის) გულისტკივილის გამოხატვა კი არა, „მხატვრული პერსონაჟის ნათქვამი“ ყოფილა და მეტი არაფერი!







მოსწავლეებმაც იციან დღეს, რომ ლელთ ღუნიას პირით ილია მეტყველებს, დოქტორი გოგუაძე კი გვიმტკიცებს, ეს მხოლოდ პერსონაჟის ნათქვამია და „მგზავრის წერილებში“ „არსად არ არის ანტირუსული განწყობილებაო“! არ გჯერათ? მაშინ ნახეთ გაზეთი „ახალი საქართველო“, 1998 წლის 9-15 ივლისის ნომრის მე-5 გვერდი და წაიკითხეთ პირველი სვეტის მე-4 აბზაცი.

ვნახოთ სხვა მაგალითი. რუსის ჯარი თუ საქართველოდან გავიდა, „ქართველი ერი არ იარსებებს“ — ამბობს ვ. გოგუაძე. ილია კი წერს:

„რაც კარგი ექნას რუსისა შტიკსა, —
ღმერთმა იმ რუსსვე ასკეცად მისცეს.“

საინტერესო ის არის, სად ამბობს ამას ილია. ამბობს მ. ლერმონტოვის პოემის („მწირი“) თარგმანში. ილია ეკამათება რუს პოეტს, რომელიც ღვთის წყალობად თვლის საქართველოს დაპყრობას რუსეთის მიერ. მ. ლერმონტოვისვე პოემაში ამატებს ილია ზემოთ ციტირებულ სტრიქონებს, ვ. გოგუაძე კი, რომელიც გვირჩევს, „ილიას გზას მივყვეთო“, ფიქრობს: თუ საქართველოდან რუსის ჯარს გაიყვანენ, „ქართველი ერი არ იარსებებს“ (ესეც იმ გაზეთში წერია, ოღონდ მე-2 სვეტის ბოლოდან მე-2 აბზაცში).

ვნახოთ კიდევ სხვა მაგალითი. სატირულ ლექსში „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით ანუ საქართველოს ისტორია მეცხრამეტის საუკუნისა“ ილია რუსეთსა და რუსებზე წერს:

„... დაქსაქსულნი
უცხო ხალხმა ხელთა გვიგდო,
ქართვლის ბედი ბურთსავითა
სათამაშოდ წინ გაიგდო...
... გაგვიჭირდა
ყოფნა უცხოს ხალხის ხელში,
როს საშველად მოწვეულმა
წაგვიჭირა თოკი ყელში...“

არც აქ იგრძნობა ხომ, დოქტორო გოგუაძე, ანტირუსული განწყობილება?!

ვნახოთ კიდევ სხვა მაგალითი. ლექსში „კანვოელი“ ილია ასე მიმართავს ქართველ მხედარს:

„ვსთქვი თუ, ვისთვის შენ კისკასობ, ვისთვის იჩენ სიმარდესა?
შენი რაა, რომ ამშვენებ შენს დამღუპველს ჩრდილოეთსა?“

ხომ არ იცით, დოქტორო გოგუაძე, ჩრდილოეთის რომელი ქვეყანა იგულისხმება ამ ლექსში?! თქვენ იმასაც იტყვით, რომ ამ ლექსს „კანვოელი“ კი არა, „იანიჩარი“ ჰქვია, რომ ჩრდილოეთის მაგივრად ოსმალეთი უნდა ეწეროსო. როგორც რუსი ცენზორი და რუსეთის მეხოტბე, თქვენ მართალი ბრძანდებით, მაგრამ არ დაგავიწყდეთ: ლექსი დაიწერა პეტერბურგში, სადაც ილიამ კანვოელების ჯირითი იხილა და არა იანიჩრებისა! მან ისე დაწერა, როგორც ჩვენ გვაქვს ციტირებული და როგორც არის დაბეჭდილი წიგნში: ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად, ტომი I, 1937 წ., გვ. 64. კანვოელის მაგივრად იანიჩარი, ჩრდილოეთის მაგივრად ოსმალეთი თქვენი რუსეთუმე ცენზორების — ძალდატანების შედეგია: აკი ითქვა გულისტკივილით: „პერმანენტულად ვკლავდით ილიას!“ მართლაც ილიას კიდევ ერთხელ მოკვლის მცდელობაა ვ. გოგუაძის მსჯელობა!

მაინც რატომ ჰგონია ვ. გოგუაძეს, რომ ილია მისი, როგორც რუსეთის მეხოტბის, მოკავშირეა. მას ხელზე დაუხვევია ილიას პუბლიცისტური წერილი (თვითონ ტრაქტატს უწოდებს) „ასი წლის წინათ“ (და არა „ასი წლის წინ“, როგორც დოქტორი ვ. გოგუაძე წერს. „წინ“ არის პასუხი კითხვაზე „სად“?, „როდის“ შეკითხვის პასუხია „წინათ“. ილიამ კარგად იცის ეს). იმ წერილს აქვს ქვესათაური — „პირველად შემოსვლა რუსის ჯარისა ტფილისში“ და ასე მთავრდება“: „დღეს, 26 ნოემბერს 1899 წ. სწორედ ასი წელიწადია მას აქეთ“. მაშასადამე, ქვესათაური და დაბოლოებაც იმას მიგვანიშნებს, რომ წერილით ილია ეხმაურება რუსის ჯარის თბილისში შემოსვლის მეასე წლისთავს. ეს არის და ეს. რუსეთის და რუსის ჯარის „ღვაწლს“ როგორ აფასებდა ილია, კარგად ჩანს ზემოთ აღნიშნული რამდენიმე ფაქტიდან. ასე რომ, ადვილი წარმოსადგენია „რა ბალღამიც დუღდა“ ილიას გულში, როცა აღნიშნულ წერილს წერდა „ივერიაში“ გამოსაქვეყნებლად. ვ. გოგუაძეს კი ჰგონია, რომ ილია ამ „საიუბილეო“ წერილის გარეშე „ერის მამად არ წარმოდგება.“ საოცარია პირდაპირ: თურმე, ილია ჭავჭავაძე ერის მამად იმიტომ კი არ ითვლება, რომ დაგვიწერა „მგზავრის წერილები“ და „ჩემო კარგო ქვეყანავ“, „ელე-

გაგრძელება მეხუთე გვერდზე

# ნებისმიერ სახელმწიფოში არსებობს ისეთი დანაშაულის საფრთხე, როგორიცაა ტერორიზმი

სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებში და მავან პოლიტიკოსთა გამოსვლებში პერმანენტულად გვხვდება ხოლმე ერთგვარი გაფრთხილების მსგავსი განცხადებები მომავალ ტერაქტებზე, დესტაბილიზაციაზე და ა. შ. უკანასკნელი ასეთი გაფრთხილება შეეხება მიმდინარე წლის სექტემბერ-ოქტომბერს. მკითხველს, ასეთ შემთხვევაში, ბუნებრივია, აინტერესებს, თუ რას აკეთებენ ძალოვანი უწყებები ყოველგვარი ტერაქტისა თუ დესტაბილიზაციის ჩანასახშივე აღსაკვეთად. სწორედ ამ საკითხზე მივმართეთ ქ. თბილისის უშიშროების დეპარტამენტის ხელმძღვანელობას რამდენიმე კითხვით, რომელზე პასუხებსაც ქვემოთ გთავაზობთ.

**კითხვები:**

1. ამ ბოლო დროს ხშირად საუბრობენ მოსალოდნელ ტერაქტზე, ფლობთ თუ არა რაიმე ინფორმაციას ამის შესახებ და იღებთ თუ არა



ზომებს დესტაბილიზაციის აღსაკვეთად?

2. ხმები მოსალოდნელი დესტაბილიზაციის შესახებ ხომ არ ემსახურება ხალხის დაშინებას, პანიკაში ჩაგდებას, მით უმეტეს, მომავალი არჩევნების წინ.

თქვენი აზრით, ვის უნდა აძლევდეს ეს ხელს?

3. დედაქალაქი უცხო აგენტურისაგან დაუცველად ხომ არ მიგაჩნიათ, მით უმეტეს, რომ ქვეყანაში განლაგებულია რუსეთის სამხედრო ბაზები?

4. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ხელისუფლება მოგვიწოდებს და კანონმდებლობაშიცაა გათვალისწინებული, რომ სახელმწიფო საიდუმლოებების შემცველი ინფორმაციის გავრცელება კანონით დასჯადია. აქედან გამომდინარე, რა შეფასებას მისცემდით გენერალ ნაყოფიას ინტერვიუს, რომელიც მან გაზეთ „ახალ თაობას“ მისცა, სადაც ფაქტიურად დაწვრილებით გაამხილა ჩვენი ქვეყნის საჰაერო თავდაცვის შესაძლებლობები?

**პასუხები:**

1. რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში საუბრებ- მო-

გაგრძელება მეხუთე გვერდზე

# ფრთხილად, — „მხედრიონი!“

მკვდრადყოფილი „მხედრიონის“ მოულოდნელი რეანიმაცია-რეაბილიტაცია გვაფიქრებინებს, რომ რუსეთსა და შევარდნაძეს საქართველოს მიმართ მორიგი ფართომასშტაბიანი აგრესია აქვთ დაგეგმილი.

ჯაბა იოსელიანისა და მისი ჯგუფის სასამართლო პროცესზე მოწმეების არარსებობა განპირობებული იყო უნდობლობის ფაქტორით შევარდნაძის ხუნტისტური, უკანონო ხელისუფლების მიმართ, რომელმაც შეიძლება უახლოეს მომავალში ციხიდან გამოუშვას „მხედრიონის“ წევრები და შურისძიების მიზნით მათ უარესი უბედურება დაატეხონ ყოფილ მოწმე-დაზარალებულთ, რომლებიც კვლავ დაუცველ-განწირულები აღმოჩნდებიან შევარდნაძის უკანონო ხელისუფლების



ხელში.

აი, ეს უნდობლობა და შიში აბრკოლებდა დაზარალებულთ და არა — ამ ქართველი ჯალალედინების დამნაშავეობის ფაქტების უქონლობა.

რეანიმირებული „მხედრიონის“ კვლავ პატრიოტულ ორგანიზაციად წარმოსაჩენად ალბათ კვლავაც მოხდება მასში გულწრფელი და გულმხურვალე ახალგაზრდების რაღაც ნაწილის შეთრევა-შეტყუება, რომლებსაც აგრეთვე მათი წინამორბედებივით გასწირავენ, რათა მკვდრებით უფრო ხმაურიანად იდიდგულონ „მხედრიონის“ მანქურთმა ლიდერებმა.

**ლეილა ცომაია**

**სრულიად საქართველოს ზვიად განმათავისუფლებლის პარტიის თავმჯდომარე**

**რედაქციისაგან:** ვბეჭდავთ დისკუსიის წესით. ჩვენ მზად ვართ გამოვაქვეყნოთ ნებისმიერი გამოხმაურება ამ თემაზე

# რისთვის მცემა „ომონმა“?

## ანუ დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოს ხელკეტებით და მობოდიშებით ვერ ააშენებთ, ბატონებო!

23 სექტემბერი. საამო მზიანმა დილამ მძიმე სოციალური ვითარებით განამებული ოჯახიდან გასვლის სურვილი აღმიძრა. თითქოს ჩემს გულში იჯდაო, ამ დროს ჩემმა დიდი ხნის მეგობარმა და კოლეგამ, უნივერსიტეტის პროფესორმა აკაკი მათიაშვილმა დამირეკა:

— ძმაო, დღეს რითი ხარ დაკავებული? — მკითხა აკაკიმ და ოჯახი მოიკითხა.

— უტყვი ტელევიზორით, უსინათლობით და საჭმელზე ფიქრით — მივუგე მოგუდული ხმით და ჯალაბი მოვიკითხე.

— ჩვენც ეგრე ვართ, როგორც მწირებიუჯეტიან პროფესორის ოჯახს შეეფერება, ჯერჯერობით სული გვიდგას, — მითხრა მან და ნერვიულად ჩაახველა.

— „ერთ. ბედქვეშა ვართ, ლაბავ, მე და შენ“, თუმცა ჩემი შენსაზე მძიმეა: ექვსი უმუშევარი თავს მახვევია: სამი შვილი, ავღანეთიდან გადმოხვეწილი უთვისტომო სიძე და თოთო შვილიშვილი. ჩემი ორმეტრიანი შვილები ნახევრად მშიერები დადიან, სიცოცხლე მოსძულდათ, მეშინია თავს არაფერი აუტეხონ.

— აქამდე სამუშაო, როგორ ვერ იშოვეს, სად არის „მოქალაქეთა კავშირის“ შეპირება?

— ისინი რამდენიმე წელიწადში საქართველოს აყვავებას შეგვპირდნენ, მაგრამ ყოველივე ქაღალდზე დარჩა, თუმცა ბევრი ისე აყვავდა, მათი „სურნელება“ საზღვრებს გასცდა.

— ასეთ ამაგდარ კაცს, დავიჯერო, დაძმარების ხელი არავინ გამოგიწოდა? — გაკვირვებით მკითხა აკაკიმ.

— მეც, ბიჭებმაც, გოგონამაც ბევრს მივმართეთ, გაზეთებიც მოვიშველიეთ, მაგრამ ამაოდ, ყველა მეწარმე თუ ბიზნესმენი, ჩემი ხალხი მყავსო, პირშეკრული გაიძახის. მე კი „ჩემიანი“ ბიზნესში, პარლამენტში და სახელმწიფო აპარატში არავინ მეგულება.

— შენმა გაუსაძლისმა გაჭირვებამ გული მატკინა, მსურს დაგეხმარო, მაგრამ ქართული ანდაზისა არ იყოს, „ჩემი გითხარი, გული მოგიკალიო“ მეც თითქმის შენს დღეში ვარ. მოდი ძმაო, ახლა დროებით გაჭირვება დავივიწყოთ და საუბარი სადმე მყუდრო ადგილას გავაგრძელოთ, გულს მოწოლილი დარდი ბუნების წიაღში განვიქარვოთ.

— კეთილი, განვიქარვოთ, სად და როდის შევხვდეთ? — მივუგე ძმობილს.

— დღეს, 4 საათს 15 წუთი რომ დააკლდება, ფილარმონიის წინ სკოლასთან შევხვდეთ — მითხრა აკაკიმ და აპარატს დაუკაკუნა.

— შევთანხმდით, სკოლის წინ გელოდები, — ვუთხარი მოკლედ და ყურმილი დავდე. ზუსტად დათქმულ დროს სკოლის წინ გავჩნდი. აკაკი არ დამხვდა, ლოდინი გავაგრძელე. ქუჩაში ხალხი ბუზივით ირეოდა. ფილარმონიის ეზო და შემოგარენი პოლიციის გაძლიერებულ კორდონს დაეკავებინა. ჩემს პირდაპირ ომონელებით სავსე ორი მიკროავტობუსი იდგა. მათი ნაწილი სკოლის წინ მჭიდროდ იყო ჩამომწკრივებული. პოლიციელთა სიმრავლემ არ გამაკვირვა, რადგანაც თბილისქალაქისათვის მოზღვავებული სტუმარი, შოუ-ფესტივალები და ფეიერვერკები ყოველდღიური მოვლენაა, რაც ამ გაუსაძლის ყოფაში ფრიად „გვეხმარება“.

ოთხ საათზე სკოლასთან მანანა გამსახურდიას თავკაცობით მოვიდნენ ზვიადის მომხრეები შეძახილებით:

— ზვიადი! ზვიადი! გაუმარჯოს საქართველოს! ძირს შევარდნაძის ხუნტა!

ომონელები ელვის



სისწრაფით მიკროავტობუსებიდან ჩამოცვივდნენ და მათ წინ ჩამწკრივდნენ. მათმა ათლეტურმა აღნაგობამ და მრისხანე სახეებმა ჩემი ყურადღება მიიქციეს: რამდენჯერმე სასიძოებივით ავათვალ-ჩავათვალიერე და გავიფიქრე: დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, გიორგი ბრწყინვალე სწორედ ასეთი ვაჟკაცებით ჯმარცხებდნენ ერთ კაცზე ათ ამხედრებულ გადამთიელს. ასეთი ვაჟკაცების დაულალავმა შრომამ ააყვავა ველმინდვრები და სამწუხაროდ, ასეთი ვაჟკაცების უგუნურმა დაპირისპირებამ საქართველო, როგორც მრავალჯერ, დღესაც ჩააგდო მძიმე განსაცდელში.

დღეს ეს საგულდაგულოდ შერჩეული ახალგაზრდები, ფორმით, ხელკეტებით, ფარებით, მრისხანე სახით და ცემატყეპით, შიშის ზარს სცემენ ჭეშმარიტად სამშობლოსათვის თავდადებულ, ერის მოყვარე, ღირსებითა და პატივით სავსე თანამემამულეებს. არ ერიდებიან არც ავადმყოფს, არც მოხუცს, არც ქალს, მართალს თუ მტყუანს ყველას წიხლებითა და ხელკეტებით უმასპინძლდებიან. საცაა მასწავლებლობის, ლექტორობის 50 წელი შემისრულდება. ათასობით ახალგაზრდას გავუკვლიე ცხოვრების გზა. დღემდე მათნაირი უსულგულო, უხეში, თვისტომის მოძულე, უფროსისადმი ცინიზმით სავსე ახალგაზრდები არ შემხვედრია (თუმცა მათ შორისაც შეიძლება იყოს კეთილი). მაოცებს, ნუთუ ესენი ხევისბერის, სანათას, ქეთევან-წამებულის, თამარ დეკანოსიძის, მარიკა ბარათაშვილის შთამომავლები არიან? მაინტერესებს დღევანდელი ხელისუფლება რით კვებავს, რამ გახადა ეს ახალგაზრდა კაცები ადამთმოძულენი. პრეზიდენტს და ხელისუფლებას რაში სჭირდება ასეთი სისასტიკე, ყველამ კარგად ვიცით, პრეზიდენტმა თავის თავზეც რამდენიმეჯერ გამოსცადა, უვიცს, გაუნათლებელსა და სისასტიკეში აღზრდილ ადამიანს რა უბედურება მოაქვს. ერთთავად იმას ვქადაგებთ, თუ გადაგვარჩენს, სიყვარული გადაგვარჩენსო.

ბატონო პრეზიდენტო, ასეთი სულის ადამიანები, მათი სისასტიკით და ბოროტებით ხეთებივით, სუბარებივით, ალბანელებივით, კართაგენელებივით დაგვიღუპებით. რაც სწრაფად დაშლით, პირადად თქვენთვის, თითოეული ჩვენთაგანისათვის და მამულისათვის უკეთესია. თქვენ და თქვენი ოჯახის სიყვარულმა უნდა დაგიცვათ. მე თქვენ ხმა სიხარულით მოგეცით, მაგრამ ახლა ამ ვანდალების წიხლებისა და მუშტების წყალობით, რაც თქვენი ასაკის სრულიად უდანაშაულო კაცმა საკუთარ თავზე გამოვცადე, ხმას ვეღარ მოგცემთ. ეს ხალხი ქვეყნის დესტაბილიზაციის წყაროა. სერიოზულმა შეცდომებმა, ასეთი ვაი-ადამიანების მომრავლებამ, რასაც ხელს სოკოსავით მომრავლებული უმაღლესი სასწავლებლები და ქვეყნის სოციალური გარემო უწყობს, საქართველოს დასაღუპავად აღმართული ლოდები აისბერგებად აქცია. აი ისინიც:

**1. დემოგრაფიული კატასტროფა:** სიკვდილიანობა დიდად სჭარბობს მშობიარობას, ახალგაზრდა ქალების და ვაჟების დიდმა უმრავლესობამ, დუხჭირი ცხოვრების გამო, ოჯახის შექმნაზე ხელი აიღო. საგრძნობლად მომრავლდნენ შინაბერა ქალები და კაცები. ჩემი ოჯახის გამოცდილებით ვიცი, თუ რა ძნელია ჩვილის აღზრდა. ბავშვის საკვების ფასი თითქმის მიუწვდომელია. ხელისუფლებამ ასეთ დროს დახმარებაზე ხელი აიღო, ბავშვთა საზღვარგარეთ გაშვება ზოგიერთებისათვის შემოსავლის წყაროდ იქცა. ლოზუნგი: გამრავლდით! ლიტონ სიტყვებად დარჩა.

**2. მაწანწალობა, მათხოვრობა, ქვეყნიდან ჯანსაღი ძალისა და ინტელექტის მასობრივი გადინება,** საქართველოს ტელევიზიის განცხადებას თუ დავეყრდნობით, საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში ათასობით უპატრონო ბავშვი დაწანწალებს. მეტროს, ვაგზლების, მიწისქვეშა გვირაბების გასასვლელები ყველა ასაკის მათხოვრებითაა გავსებული. ნახევრად მათ მდგომარეობაში მყოფ გამვლელ ადამიანებისათვის, შეხედვა აუტანელია. სასოწარკვეთილი სახითა და თვალებით გთხოვენ შველას, შენ კი ვერ ეხმარები, გულის ტკივილი მიგყვება თან. „მერსედესებ-

გაგრძელება მეათე გვერდზე

# ჯერ არასდროს გაუმარჯვია იმ ერს, რომლის მეთაურსაც გამარჯვების რწმენა არა აქვს

აფხაზ სეპარატისტებთან საქართველოს ხელისუფლების მორიგი მოლაპარაკება სოხუმში კიდევ ერთი დადასტურებაა ამ უკანასკნელთა კაპიტულანტური პოზიციისა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის საკითხში. როგორც საინფორმაციო საშუალებებმა გვამცნეს, მხარეები შეთანხმებულან, რომ ერთობლივი ძალით ებრძოლონ დივერსიულ-ტერორისტულ ბანდებს, ამ ბანდებში კი, რაც არ უნდა უარყონ ჩვენი ვაიხელისუფლების წარმომადგენლებმა, იგულისხმებიან ქართველი პარტიზანები. აფხაზეთისათვის ომში შევარდნაძის ხელისუფლების აშკარად მოღალატური პოლიტიკის წყალობით საქართველომ ისტორიული თვალთახედვით სასტიკი და გაუგონარი მარცხი განიცადა. ამ მარცხის სისასტიკე და გაუგონრობა იმაში მდგომარეობს, რომ მის შედეგად ქართველობა ფიზიკურად მთლიანად ამოიძირკვა საქართველოს ერთ-ერთი ძირძველი კუთხიდან. ახლა ისპობა და ნადგურდება ყოველივე, რაც ქართულ გენთან არის დაკავშირებული — მატერიალური კულტურის ძეგლები, ეკლესია-მონასტრები, სასაფლაოები, იცვლება ტოპონიმიკა. საქართველოსადმი მტრულად განწყობილი უცხო ტომების ჩასახლება ხდება ქართველთა საცხოვრისში. ამგვარი რამ დიდი სურვილის მიუხედავად ვერ მოახერხეს ვერც თურქ-სელჯუკებმა, ვერც მონგოლებმა, ვერც ნახევარი მსოფლიოს დამპყრობელი თემურ ლენგის ურდოებმა, ვერც ცბიერმა შაჰ-აბასმა ძალის კულტის განმადიდებელი სისხლიანი შუა-საუკუნეების ეპოქაში და ეს ხდება ჩვენს თავს საუკუნის ბოლოს განათლებული ევროპისა და აზიის საზღვარზე, ერთა და ადამიანთა უფლებების დაცვისათვის შემართულ სამყაროში. საქართველოს ხელისუფლებამ არათუ წინააღმდეგობა ვერ გაუწია ერთ მუჭა შეიარაღებულ სეპარატისტებს და მათ უკან მდგომ რუსულ შოვინისტურ ძალებს, არამედ მშვიდობიანი ქართული მოსახლეობის ბრძოლის ხაზიდან უვნებელი გამოყვანაც კი ვერ მოახერხა, რამაც ქართველთა სამარცხვინო მასობრივი გენოციდი გამოიწვია. ერთადერთი ქართული ძალა, რომელიც მტერს აფხაზეთში სრული გამარჯვების ზეიმს უშხამებს და ბევრ უცხოტომელსაც აფხაზეთში დამკვიდრების სურვილს უკლავს, ეს არის მცირერიცხოვანი ქართული პარტიზანული მოძრაობა. პარტიზანული მოძრაობა არის უკანასკნელი ძაფი, რომელიც აფხაზეთს დანარჩენ საქართველოსთან აკავშირებს. ამავე დროს, პარტიზანული მოძრაობა არის ლტოლვილი ქართული მოსახლეობის და არამარტო ლტოლვილი მოსახლეობის უკანასკნელი იმედი აფხაზეთის დაბრუნებისა, ასევე მებრძოლი სულისკვეთების შენარჩუნების საფუძველი, რომელთა გარეშეც ყველაფერი დაკარგულია. და აი, ხელისუფლების ბოლოდროინდელი პოლიტიკა ამ ძაფის გაწყვეტისაკენ არის მიმართული. მტერი საქართველოს ხელისუფლების ხელით აკეთებს თავის სასიკეთო საოცნებო საქმეს — ქართულ პარტიზანულ მოძრაობას ზურგში ურტყამს დანას. საქართველოს ხელისუფლების ამ ქმედებას უკეთ შეაფასებს დრო, როცა მისი შედეგები ცნობილი გახდება, მაგრამ შექმნილი სიტუაციიდან გაკეთებული პროგნოზები მხოლოდ ზიანს გვიქადის. სოხუმიდან თავქუდმოგლეჯით გამოქცეულ მთავარსარდალ შევარდნაძეს ერთგან წამოცდა — თუ ჩვენ ვერ დავიბრუნებთ აფხაზეთს, მომავალი თაობები მაინც დაიბრუნებენ, ოღონდ ეგ არის, ის კი ვერ ახსნა, თუ რატომ გახდა აფხაზეთი მომავალი თაობების დასაბრუნებელი. არადა, ამის შესახებ ღირს მსჯელობა, კამათი და დასკვნების გამოტანა, თუნდაც იმიტომ, რომ იმავე მომავალ თაობას გაცნობიერებული ჰქონდეს აფხაზეთის დაკარგვის მიზეზები, რაც აუცილებელია აფხაზეთისათვის ბრძოლაში გამარჯვების მოსაპოვებლად.



იმისათვის, რომ აფხაზეთისათვის ომში ქართველთა დამარცხების მიზეზები სრულყოფილად გამოვარკვიოთ, საჭიროა უამრავ კითხვაზე პასუხის გაცემა, რაც შეუძლებელია აფხაზეთის ომის ორგანიზატორებისა და მონაწილეების დაკითხვის გარეშე, რასაც ერთი ქართული ნიურნბერგის პროცესი სჭირდება. იმედი ვიქონიოთ, რომ მომავალში შესაძლებელი გახდება ამგვარი პროცესის ჩატარება, რათა საბოლოოდ განირჩეს უკანასკნელ პერიოდში საქართველოს გამანადგურებელ ყველა მარცხში, თუ ვინ არის დამნაშავე. მანამდე კი ომში დამარცხების მიზეზთა ზოგადი სურათის დადგენას ვეცდები. მსოფლიოს ისტორიაში ომებს ხალხთა და ერთა ცხოვრებაში იმდენად დიდი ადგილი უკავია, რომ ზოგჯერ კაცობრიობის ისტორიას ომების ისტორიასაც კი უწოდებენ. რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი, აკადემიკოსი და ამავე დროს ქართული პატრიოტული მრწამსის მქონე პიროვნება ირაკლი ჯორჯაძე თავის წიგნში „ნარკვევები საქართველოს სამხედრო ხელოვნების ისტორიიდან“ — წერს: „ხალხთა სიცოცხლისუნარიანობის ყველაზე მკაცრ შემოწმებას ომებით გამოცდა წარმოადგენს. ისინი, ვინც ვერ უძლებდნენ ომებს, იღუპებოდნენ და ჰქრებოდნენ ისტორიული არენიდან. მხოლოდ იმ ხალხს შეუძლია განაგრძოს არსებობა და თავისი კვალი დატოვოს კაცობრიობის განვითარების ისტორიაში, რომელსაც შესწევს დიდი ფიზიკური ძალა, რწმენა და მხნეობა სულისა“.

უკეთესად ვერ იტყვი. ის, რომ ქართველმა ერმა შეძლო ათასობით ომის ღირსეულად გადახდა და თავის გადარჩენა, ამას საბედნიეროდ ვერც ერთი ეროვნული ნიჰილისტი და ცინიკოსი ვერ უარყოფს, რადგან ისტორიული წყაროები უტყუარად წარმოგვიჩენენ ქართველთა შემართებას, სიმამაცესა და სამხედრო ხელოვნების დიდ წარმატებებს. იგივე ირაკლი ჯორჯაძე წერს: „დღეს არავის არ აოცებს, რომ ამ მცირე ხალხის წიაღში გამობრწყინდა შარავანდედით მოსილი გმირობა ორასი დიდგორელი, სამასი არაგველი და ორასრვა კახელი რაინდისა, რომლებიც „სასიკვდილოდ კი არ იდგნენ“, არამედ „სიკვდილზე მიიწევდნენ“ და წარბშეუხრელად შესწირეს სამშობლოს თავიანთი სიცოცხლე. გავიხსენოთ ფარსმან II, რომლის სიმამაცის აღსანიშნავად რომში, მარსის მოედანზე მისი ქანდაკება აღმართეს, უკვდავი ვახტანგ გორგასალი, რომელსაც მოღალატემ ილიაში ისარი სტყორცნა და მაინც განაგრძობდა ბრძოლას მტრის სრულ დამარცხებამდე, დავით აღმაშენებელი, დიდი არმიების წინააღმდეგ მცირე ჯარებით გამარჯვების სტრატეგიის შემქმნელი, შეუდარებელი სარდალი გიორგი სააკაძე თუ ერეკლე მეორე...“



ლოგიკურად ისმება კითხვა, მაშ რა მოხდა XX საუკუნის ქართველობაში, ნუთუ ასე უეცრად დაიკარგა სამხედრო შემართებისა და ბრძოლისუნარიანობის გენეტიკური კოდი და ერთ დროს მტერთა თავზარდამცემი სიმამაცის მქონე ერი მშიშარა და ლაჩარ

გაგრძელება მეოთხე გვერდზე

ბიბლიოთეკა

# კომენტარი პრეზიდენტის 21 სექტემბერის რადიოინტერვიუზე

**პრეზიდენტს პრინციპულად ეშლება**

პრეზიდენტი უნებურად გამოთქვამს თავის პრინციპულ არასწორ პოზიციას, როცა რუსეთთან საქართველოს მჭიდრო ეკონომიკურ „იტეგრირებულობაზე" ლაპარაკობს იმის ნაცვლად, რომ მათი ეკონომიკური ცხოვრების მარტოოდენ დაკავშირებულობაზე ილაპარაკოს. ყოფილი მეტროპოლიის და ყოფილი კოლონიის ეკონომიკა რომ ურთიერთკავშირშია, ეს ბუნებრივია, მაგრამ რა შუაშია „ინტეგრაცია" ანუ მთლიანობა მათ შორის? რით არის ერთი მთელი ეს ორი სახელმწიფო, რომელთაგან ერთი მეორეს დღესაც ჩასაყლაპად შესცქერის? პრეზიდენტმა ამ სიტყვებით გათქვა თავისი განუკურნებელი ორიენტაცია ერთობის დანახვაზე იქ, სადაც ეს ერთობა მხოლოდ ბოროტება და ძალადობის ინერციაა და სადაც სიკეთე მხოლოდ ურთიერთდამოუკიდებლობის შექმნაზე, პარტნიორულ და არაიმპერიულ ურთიერთობათა დამყარებაზე ორიენტაციაში მდგომარეობს.

პრეზიდენტი პრინციპულად ცდება მაშინაც, როცა საქართველოს ეკონომიკური გადარჩენის გარანტიად მხოლოდ „საქართველოს ეკონომიკურ, განსაკუთრებით კი საბანკო-საფინანსო სისტემის რეფორმირებას" ასახავს, სახელდობრ — მათ რეფორმირებას იმ მიმართულებით, რომელიც ამჟამად არჩეულ იქნა. რეფორმირების აუცილებლობა ვერ ჩრდილავს და ვერ აბათილებს იმ გარემოებას, რომ საფინანსო პოლიტიკისადმი პირველხარისხოვანი ყურადღებისა და მსოფლიო ბანკისა და სავალუტო ფონდის სამაშველო ღონისძიებების პირობებშიც საქართველოს არა აქვს უფლება თავისი მეურნეობის ფიზიკური მხარე — თავისი წარმოების (პირველ ყოვლისა კი — თავისი მრეწველობის) გაცოცხლება გამორიცხოს პრიორიტეტულ ამოცანათა სიიდან. მუშავდება საქართველოს მთელი მიწა? არა. მუშაობს — კარგად თუ ავად — საქართველოს საწარმოთა ძირითადი მასა? არა. დასაქმებულია თუ არა — თუნდ თვითმფრინავების წარმოებაში და თუნდ ნავთის ლამფების წარმოებაში — საქართველოს მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალა მისი ინჟინერ-კონსტრუქტორებისა და მუშების სახით? არაა და არც იგეგმება მათი დასაქმება, რადგან სტიქიური მექანიზმები დღეს მათს დახლში დგომას განაპირობებენ, ნავთის ლამფები კი ირანიდან შემოდის, ხოლო სტიქიური მექანიზმების კორექციას ანუ ეკონომიკურ პროცესებში სახელმწიფოს ზემოქმედების მექანიზმთა ჩართვას საქართველოს ხელისუფლება — მსოფლიოს ყველა განვითარებული თუ ნაკლებგანვითარებული ქვეყნების ხელისუფლებათაგან განსხვავებით — შეუძლებლად თვლის. ამგვარი პოლიტიკით ანუ სახელმწიფოს მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობის საწვრილმანო ვაჭრობაზე დაყვანის გზით ბიუჯეტის დაბალანსება ვერასოდეს მოხდება და პენსიები თუ ხელფასები წესიერად ვერასოდეს გაიცემა. რადგან სიმდიდრის სხვა წყარო და თავის რჩენის სხვა საშუალება გარდა ნაყოფიერი შრომისა არც პიროვნებას, არც სახელმწიფოს არა აქვს და ვერც ექნება.

ის ზომები, რასაც პრეზიდენტი რადიომსმენელებს ჰპირდება ბიუჯეტის გაჯანსაღების მიზნით, ყველა აუცილებელია, მაგრამ საკმარისი არაა. (ეს ზომებია სიმკაცრე, კონტროლი, პრეზიდენტის პირადი ყურადღება საგადასახადო და საბაჟო სამსახურებისადმი და სხვა ამის მსგავსი). გადამწყვეტია საგადასახადო ბაზის გაფართოება ანუ დაბეგვრის სფეროში მეტი და მეტი საწარმოს მოქცევა, ხოლო ამ გაფართოების აუცილებელი პირობაა, პირველ ყოვლისა, თვით ამ საწარმოთა მომრავლება და ზრდა. პრეზიდენტის ეკონომიკური პოლიტიკის ჩარჩოებში ამგვარი პერსპექტივა არ ჩანს. უფრო მეტიც, იგი, უბრალოდ, შეუძლებელია. უფრო მეტიც. ასეთი პერსპექტივა არ ჩანს თვით ჩვენი



ლარის ძირითადი მხსნელებისა და გადამრჩენების — სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის პოლიტიკის ჩარჩოშიც და იგი ვერც გამოჩნდება მანამდე, სანამ საქართველო „ესენგეშია", სანამ თავის ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო ბაზებს აჩერებს და, აქედან გამომდინარე, მსოფლიოსთვის ჯერჯერობით ძალიან საშიში ბირთვული ძალის სტრატეგიულ სივრცეში იმყოფება. ნეიტრალური სახელმწიფოებისადმი დასავლეთის ეკონომიკური პოლიტიკა შეიძლება იყოს, მაგრამ შეიძლება არც იყოს მათი საკუთარი წარმოების, პირველ ყოვლისა — მათი მრეწველობის არგანვითარების პოლიტიკა. მაგრამ რუსეთის სტრატეგიულ სივრცეში მყოფი სახელმწიფოსადმი მათი პოლიტიკა არ შეიძლება არ იყოს მისი წარმოების დათრგუნვის, მისი ტექნოლგიურიი პროგრესის შეფერხების პოლიტიკა (ისევე, როგორც, საფიქრებელია, მათს პოლიტიკას მოკავშირეებად მიჩნეული ქვეყნების მიმართ დიდი ალბათობა აქვს, რომ ტექნოლოგიური პროგრესის მასტიმულირებელი პოლიტიკა იყოს.

ეს ერთ-ერთი ისეთი დილემააა, რომელშიც პოლიტიკა, სტრატეგია და ეკონომიკური კურსი ერთმანეთში იკვეთება. ამიტომ საქართველოს ხელისუფლება ვალდებულია ზემოხსენებული ფაქტორების გათვალისწინება და ზემოხსენებული პერსპექტივის დანახვა ისწავლოს.

**მსჯელობა არასასოფლო-სამეურნეო მიწებზე**

პრეზიდენტის მსჯელობაში ამ თემაზე რატომღაც მხოლოდ ორი მიდგომის შესაძლებლობაა გათვალისწინებული: სოციალისტური მიდგომისა ერთის მხრივ (იგი, რა თქმა უნდა, მიუღებლადაა მიჩნეული) და მიწის გაჩუქებისა სიმბოლურ ათ თეთრად მეორეს მხრივ. ის, რომ სახელმწიფოს შეუძლია მიწის რეალურ ფასად გაიჯარება, მასზე რეალური ფასების და რეალური გადასახადების დაწესება და, მაშასადამე, მისგან რეალური შემოსავლის მიღება და არა საწყალი 90 მილიონისა, პრეზიდენტს აზრად არ მოსდის. მიწის გამომყენებლის ან მისი შეძენის მსურველის დღევანდელი ეკონომიკური სისუსტის კომპენსირება და მისი წახალისება შესაძლებელია მისთვის გადახდევინების გადავადებით და განვადებით (თუნდაც მრავალი ათწლეულით), მაგრამ არა მისი დაუმსახურებელი დასაჩუქრებით სახელმწიფოსა და სხვა კომერსანტების საზარალოდ.

**აფხაზეთის თემა**

პრეზიდენტის მსჯელობა აფხაზეთის თემაზე შეიცავს უდავოდ სწორ აზრს, რომ დევნილთა ყრილობაზე სასურველია მსოფლიო საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა დასწრება და რომ ამ ყრილობას დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს სწორი აზრი რომ არ უთავსდება ყრილობის მონაწილეთა დარბევას ფილარმონიის წინ, რაც ინტერვიუდან რამდენიმე დღის შემდეგ მოხდა, აგრეთვე უდავოა. სამწუხაროდ, საყოველთაოდ ცნობილია ისიც, რომ ხსენებული მსჯელობაც, ისევე როგორც პრეზიდენტის ყველა მსჯელობა აფხაზეთის პრობლემის შესახებ, მარტოოდენ ფუჭსტყვაობაა, რომელსაც არავითარი საყრდენი პრეზიდენტის რეალურ პოლიტიკაში არა აქვს.

**ზატულინ-მიგრანიანის თემა**

პრეზიდენტი იმ ერთადერთ ფორმილირებას იყენებს ამ ორი ცნობილი პოლიტოლოგ-შავრაზმელის ნაწერის დასახასიათებლად, რომელიც მათს მორიგ გამოხდომას შეესაბამება: იგი ბრძანებს, რომ საქართველოს პრეზიდენტი მათთვის დროს არ უნდა ხარჯავდეს. რადგან ისინი ამის ღირსნი არ არიან. სრული ჭეშმარიტებაა! მაგრამ პრეზიდენტის შტაბიდან მათს პასუხს უნდა ვისმენდეთ, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში იქმნება აზრი, რომ მათი გამოხდომების პასუხი სახელმწიფოს არ მოეპოვება. ეს პასუხი ვერ აუვლის გვერდს საქართველოს მიმართ რუსეთის აგრესიული პოლიტიკის კონსტატაციის აუცილებლობას, ამგვარი კონსტატაციის უნარი და სურვილი კი პრეზიდენტის მხრიდან ფრიად საეჭვო ჩანს. ამიტომ პრეზიდენტის აპარატის პასუხს ამ გამოხდომებზე კონკრეტული ინფორმაციული ფუნქციაც ეკისრება.

**შემატკივარი**

# ჯერ არასდროს გაუმარჯვია იმ ერს, რომლის მეთაურსაც გამარჯვების რწმენა არა აქვს

მესამე გვერდიდან

ბრბოდ იქცა? სამაჩაბლოში საქართველოს იმხელა სამარცხვინო დამარცხებები დაატყდა თავს, რომ უნებურად ასეთი კითხვებიც მოუვა კაცს თავში. საბედნიეროდ, თვით აფხაზეთის ომმაც წარმოაჩინა ენთუზიაზმზე და მოხალისეთა შიშ-



ველ პატრიოტიზმზე შექმნილი მცირერიცხოვანი ქართული რაზმების თავგანწირვა და გმირობა, რომელიც დამტკიცდა სოხუმისა და გაგრის ალების საბრძოლო ოპერაციებში, სოხუმის ერთწლიან თავდაცვით ბრძოლებში, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ქართველი ვაჟკაცების შემართებას არ ჰქონდა ხელისუფლების მხრიდან სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა, უფრო მეტიც, ომის წარმოების პროცესში გამოვლინდა ხელისუფალთა კაპიტულანტური, საქართველოს ინტერესების შემლახველი, ღალატის სუნის მქონე პოლიტიკა. თამამად შეიძლება ითქვას, აფხაზეთის ომის ანალიზით მივდივარ იმ დასკვნამდე, რომ შევარდნაძის ხელისუფლების ქვეშ ვერც ერთი ერი ომში გამარჯვებას ვერ მოიპოვებდა.

კონსტანტინე გამსახურდია რომანში „დავით აღმაშენებელი" წერს: „ყოველი ომი თავისთავად საფრთხეა, საფრთხეს უნდა განერიდოს ბრძენი მეფე, მაგრამ, როცა იგი კარზე მოგადგება, უნდა შეებრძოლო მას, რადგან სხვა გზა არ არის. როცა ვაჟკაცს გაუჭირდება, მას სხვა გზა არ დარჩენია, გარდა ბრძოლისა." აფხაზეთის ომში დამარცხების ერთ-ერთი საფუძველი კარზე მომდგარი ომის ხელისუფლების მხრიდან თავის არიდების, უფრო სწორად, ომიდან გაქცევის პოლიტიკაა. იშვიათად გაუმარჯვნია ომში იმ ერს, რომლის ხელისუფლება გაურბის ომს და ზურგს უჩვენებს მტერს. შორეულ წარსულში რომ არ გადავიჭრათ, მეორე მსოფლიო ომში გერმანიამ საფრანგეთის მთავრობის უმაგალითო ლაჩრობის გამო თითქმის უბრძოლველად დაიპყრო სიდიდითა და რიცხოვნობით მასზე არანაკლები ფრანგთა ქვეყანა. ტყუილად კი არ ამბობდა ნაპოლეონი: „სჯობს ცხვრის ფარას ლომი მიუძღოდეს, ვიდრე ლომებს ცხვარიო". ის, რომ ომში მყოფი ერის ხელმძღვანელზეა დამოკიდებული ამ ომის ბედი, დაადასტურეს უკანასკნელ ხანს მომხდარმა ომებმა ხორვატიაში და ჩეჩნეთში. ხორვატთა და



ჩეჩენთა საბედნიეროდ, მათ ბევრად მრავალრიცხოვან და უკეთ შეიარაღებული მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში ჰყავდათ მხედართმთავრები და ამავე დროს დიდი პატრიოტები, გენერლები — ტუჯმანი და დუდაევი, რომლის სიმამაცეც ღირსეულად გააგრძელა გენერალმა მასხადოვმა. ადამიანების ომში გამარჯვების რწმენამ და დიდმა სამხედრო ორგანიზაციულმა უნარმა შეუძლებელი შეაძლებინა ხორვატ და ჩეჩენ ხალხს. ხოლო საქართველოს საუბედუროდ, აფხაზეთისათვის და სამაჩაბლოსათვის ბრძოლის ჟამს საქართველოს სათავეში აღმოჩნდა კაცი, რომელიც მტრის რომელიმე გენერლის ტელეფონით მუქარაზე შიშით ცახცახებდა და საჯაროდ, ტელევიზიით გაჰყვიროდა, დამიჯერეთ, დავმარცხდებით, ჩვენ ამ ომში დავმარცხდებითო. ჯერ არასდროს გაუმარჯვნია იმ ერს, რომლის მეთაურსაც გამარჯვების რწმენა არა აქვს, რომელსაც არ სწამს საკუთარი ერის სიძლიერის, სიმამაცისა და ბრძოლისუნარიანობისა. შევარდნაძის ხელისუფლების ანტიეროვნულ, ქართული ტრადიციებისადმი შეუთავსებელ სამარცხვინო კაპიტულანტურ ფსიქოლოგიას გადაყვა საქართველო. გურამ გეგეშიძე რომანში „სტუმარი" წერს: „ერის წარსულის ცოდნა ის საძირკველია, რომელზედაც უნდა აშენდეს საკუთარი თავის პატივისმცემელი, ეროვნული თვითშეგნებით მომარაგებული, წელმაგარი, საკუთარი ეროვნული ინტერესებისათვის მებრძოლი საზოგადოება". იგივე ითქმის ხელისუფლებაზეც. ამ ხელისუფლებას კი ერის წარსული და მომავალი არაფრად უღირს, რაც მის პოლიტიკაშიც კარგად მჟღავნდება. ეს არის საქართველოს თავზე მომჯდარი ოლიგარქია, რომელიც მხოლოდ საკუთარი ინტერესებით ცხოვრობს. ამიტომაც არის, რომ მისი შვიდწლიანი ხელისუფლების პერიოდში არცერთი ეროვნული პრობლემა არ გადაწყვეტი-



ლა სოციალ-ეკონომიკურით დაწყებული, ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების პირობებით დამთავრებული. ვაჟა-ფშაველა ამბობს: „უმიწაწყლოდ ერი იგივეა, რაც უფრთოდ ფრინველი, უწყლოდ თევზი და უჰაეროდ სიცოცხლე".

ჰოდა, სანამ მთლიანად არ დაგვიკარგავს ჩვენი წინაპრების მიერ სისხლითა და ტანჯვით შენარჩუნებული სასიცოცხლო სივრცე, ერი და ბერი გონს უნდა მოეგოს და საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ყველაზე სამარცხვინო ხელისუფლება წარსულს ჩააბაროს.

**გია თვალავაძე**

# ვახტანგ გოგუაძე ლელთ ღუნიას წინააღმდეგ, ანუ „პერმანენტულად ვკლავდით ილიას“

მეორე გვერდიდან

გია“ და „მესმის, მესმის“, „ქვათა ღაღადი“, „აი ისტორია“ და „კატკოვის პასუხად“, არამედ იმის გამო, რომ წერილი გამოაქვეყნა გაზეთში რუსის ჯარის თბილისში შემოსვლის მეასე წლისთავის შესახებ!

სასაცილოა (სატირალი რომ არ იყოს!) ვ. გოგუაძის მსჯელობა იმის თაობაზე, რომ რუსებს უფრო მეტად უყვართ საქართველო, ვიდრე ქართველებს. საბუთიც აქვს: იგი თავს იწონებს იმით, რომ საქართველო დსთ-ში შეიყვანა. როცა კორესპონდენტმა ჰკითხა, „პროქართულად განწყობილი რუსი პოლიტიკოსები“ (თუკი ასეთები არსებობენ!) რატომ არ უჭერენ მხარს საქართველოსო, ვ. გოგუაძემ ასეთი „ამომწურავი პასუხი“ გასცა (რაკი „ამომწურავია“, ცოტა გრძელი ციტატა გამომივა):



„ჩვენ რომ დსთ-ში შევედით, მეუღლესთან ერთად (აბა, როგორ! — ვ. პ.) პერსონალურად დამპატიჟეს (უყურე შენ! — ვ. პ.). დიდის ამბით მოგვილოცეს (აბა, რას იზამდნენ! — ვ. პ.) დსთ-ში გაწევრიანება. შესვენების დროს ჩილინგაროვმა

დუმელებს შემახვედრა. ფოიეში იდგნენ სპიკერი, ზიუგანოვი და სხვები. მათ კი, რომ წავედი, გაუკვირდათ, ჩვენთან შერცხვენილები იყვნენ. ხუთიოდე დღის წინ ელცინს უთხრეს, არ ჩახვიდე საქართველოშიო (ეტყოდნენ: „დაჩოქილი საქართველოს“ პარლამენტის სპიკერი თვითონ ჩამოვიდეს, შენ რატომ უნდა ჩახვიდეო! — ვ. პ.). ჩამოვართვი ხელი, რას შვრებით, მე ვუთხარი, სად დაიკარგეთ, ჩამოდით საქართველოში, პურ-მარილი დაგვიძველდა-მეთქი. ბიჭო, რა იყო, იცი? შვილებს ვფიცავარ, თუ გატყუებდე (რა ფიცი უნდა, დიდად გახარებული იქნებოდნენ რუსები! — ვ. პ.). სალამოს ბანკეტი იყო ასკაციანი. შუმეიკომ სადღეგრძელო მომცა (უშველოს ღმერთმა! — ვ. პ.) და დავარტყი (! — ვ. პ.) მამაპაპური, ძმური და მეგობრული“.

შენი არ ვიცი, მკითხველო, და მე კი საშინელ ხასიათზე დავდექი, ეს რომ წავიკითხე. აქ სწორედ ისეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, დიდი ილია რომ წერს „კაცია-ადამიანში“: „გინდა იცინე, გინდა იტირე, როცა ამ ამბავს წაიკითხავ. ორივეს საბუთი ისევ ამავე მოთხრობაში გაქვს.“ „ზიუგანოვისა და სხვების“ პოზიციიდან, რა თქმა უნდა, სასაცილო და სასიხარულოა ვ. გოგუაძის პამპულაობა, ჩვენ კი გვეტირება, როცა გავიგეთ, თუ როგორ ეპატიჟებოდა იმ „ზიუგანოვსა და სხვებს“ საქართველოს პარლამენტის სპიკერი — ჩამოდით საქართველოში, დაძველებული პურმარილი განვაახლოთ,



ჩვენ ხომ ძმები და მეგობრები ვართო.

მეო, — ამბობს ვ. გოგუაძე, — „ეროვნულ მოძრაობაში ჩართული კაცი ვიყავი და რა პოზიციაც მაშინ მქონდა, რასაც მაშინ ვწერდი, არაფერი არ შემიცვლია“. რაკი ცოცხალი აღარ ეგულება, სიმპათიით მოიხსენიებს ზვიად გამსახურდიას, რადგან იცის, რომ იგი ეროვნულობის სიმბოლოა. თვალთმაქცობს ვ. გოგუაძე, ჩვენი მოტყუება სურს. მაშინ, კი 1991 წლის აგვისტოში, თბილისში გაავრცელა პროკლამაცია, რომელშიც ამბობდა: ზვიად გამსახურდია დიქტატორია, მხოლოდ პირად გამდიდრებაზე ზრუნავს, ნახევარი საქართველო მოჯამაგირედ და „ტელოხრანიტელებად“ დაიყენა, იგი უნდა „გადაყენებულ იქნას საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტობიდან“ და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცესო („ლიტერატურული საქართველო“, 1992., 11 სექტემბერი). პროკლამაციას ხელს აწერდა „პროფესორი ვახტანგ გოგუაძე“, რომელიც ეროვნული ხელისუფლების დამხობის შემდეგ პარლამენტის სპიკერი გახდა, 1993 წლის 27 ივლისს სოჭში ხელი მოაწერა კაპიტულანტურ ხელშეკრულებას, რომლის წაკითხვისას გუდაუთაში მჯდომმა გახარებულმა არძინბამ წამოიძახა: „სოხუმი აღებულიაო“ („საქართველო“, №52, 1998). აი, ეს „ეროვნულ მოძრაობაში ჩართული კაცი“ დღესაც ხოტბას ასხამს რუსეთს და სოციალიზმს, პარტსკოლის ლექტორის სიბეჯითით აკრიტიკებს ამერიკის იმპერიალიზმს და წარამარა გაიძახის: „ილიას გზით ვიაროთ“, „მივყვეთ ილიას გზასაო“.

კმარა! სოციალისტ-კომუნისტებო, ყოფილებო და ახლანდელებო, თავი ანებეთ დიდი ილიას შეურაცხყოფას! გახსოვდეთ: ილია მართალი მთაწმინდაზე განისვენებს, ფილიპე მახარაძე კი გააძევა ამ წმინდა მიწამ!

**ვახტანგ პაიკიძე**



# ნებისმიერ სახელმწიფოში არსებობს ისეთი დანაშაულის საფრთხე, როგორიცაა ტერორიზმი

მეორე გვერდიდან

სალოდნელ ტერაქტზე პოპულარულ თემად იქცა, რასაც, სამწუხაროდ, აქვს თავისი ობიექტური მიზეზები. ბოლო 2-3 წლის განმავლობაში განხორციელებული ტერორისტული თავდასხმები პრეზიდენტზე, ჯიხაშკარის და ზუგდიდის პრეცედენტები მიუთითებს იმას, რომ საქართველოს უზენაესი ხელისუფალი და ავად თუ კარგად მიმდინარე დადებითი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური ძვრები დაინტერესებული ქვეყნების სპეცსამსახურების სამიზნე გახდა. აქედან გამომდინარე, მოსალოდნელი ტერაქტის საშიშროებაზე მსჯელობა პრესაში შეიძლება უმეტეს წილად კერძო პირების ვარაუდზეა აგებული, მაგრამ მასში არის გარკვეული ლოგიკა.

ამასთან ისეთი მძიმე დანაშაულის საფრთხე, როგორიცაა ტერორიზმი, არსებობს ნებისმიერ სახელმწიფოში. ამ მხრივ არც საქართველო წარმოადგენს გამონაკლისს. აღნიშნული საფრთხე იზრდება ქვეყნის დამოუკიდებლობის ხარისხის და მსოფლიო პოლიტიკურ ასპარეზზე პოზიციების განმტკიცების პროპორციულად. როცა ზემოქმედების სხვა საშუალებები ვერ აღწევენ მიზანს, ექსტრემისტული ძალები მიმართავენ უკიდურეს, რადიკალურ ქმედებებს. ამ თვალსაზრისით ტერორიზმთან ბრძოლა წარმოადგენს კომპლექსურ ღონისძიებას, რომელიც მოიცავს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების მთლიან სპექტრს და ამ კომპლექსში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს.

ტერორიზმის პრობლემის აქტუალობიდან გამომდინარე, უშიშროების სამინისტროში შეიქმნა ანტიტერორისტული ცენტრი, ხოლო ქ. თბილისის დეპარტამენტში ჩამოყალიბდა იგივე მიმართულებით მომუშავე ქვედანაყოფი. აღნიშნული ოპერატიული დანაყოფების მოვალეობაა ტერორთან დაკავშირებული ყველა წინმსწრები ოპერატიული ინფორმაციის და ღია საინფორმაციო წყაროებში არსებული მასალების ანალიზი, დამუშავება და გადამოწმება.

ისედაც დამუხტული საზოგადოების ინფორმირება იმის შესახებ, გაგვაჩნია თუ არა კონკრეტული ინფორმაციები მოსალოდნელ ტერაქტზე, ამ ეტაპზე არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად, რადგან ჩვენ თვითონ არ შევუწყოთ ხელი, ნებისმიერი პასუხის შემთხვევაში, ნებსით თუ უნებლიეთ ნეგატიური ფსიქოლოგიური ფონის შექმნას და ა. შ.

რა თქმა უნდა, დეპარტამენტი ატარებს შესაბამის სამუშაოებს სავარაუდო დესტაბილიზაციის ალსაკვეთად. სხვა სამსახურებთან ერთად ტარდება ღონისძიებათა კომპლექსი ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში სტრატეგიული და სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების ოპერატიული დაცვის თვალსაზრისით. სიტუაციის ადექვატურად ხდება ზოგიერთი არსებული ოპერატიული ინფორმაციის რეალიზაცია. ასე მაგალითად, მიმდინარე წლის სექტემბერში ჩვენს მიერ ჩამოყალიბების სტადიაში გამოვლენილ იქნა ერთ-ერთი მეზობელი ქვეყნის სამხედრო გამოცდილების მქონე მოქალაქეთაგან, ე. წ. „ბოევიკებისაგან“ შემდგარი ჯგუფი, რომელიც ერთ-ერთ ბინაზე კონსპირაციულ პირობებში ემზადებოდა და ელოდა დამკვეთის დავალებებს.

2. რა თქმა უნდა, ესეც არ არის გამორიცხული. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დესტაბილიზაციაში დაინტერესებულ პირთა მიზანია საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყნის, დისკრედიტაცია საერთაშორისო მასშტაბით, მისთვის არასტაბილური სახელმწიფოს იმიჯის შექმნა, აქედან გამომდინარე პოლიტიკური თუ ეკონომიკური სავალალო შედეგებით.

3. უცხო სახელმწიფოების სპეცსამსახურების აგენტურის გამოვლენა და მათი ქვეყნის საზიანო ქმედებების გაუვნებელყოფის პრობლემა ისევე ძველია, როგორც ადამის მოდგმა და ისევე გადაუჭრელი, როგორც მისთვის დამახასიათებელი მანკიერი ჩვეულებანი.

უცხო აგენტურასთან ბრძოლა მუდმივი პროცესია და ის ყველა საზოგადოებრივი ფორმირებისთვისაა დამახასიათებელი, მით უმეტეს იმ ქვეყანაში, რომელსაც განგებამ ასეთ რთულ გეოპოლიტიკურ სივრცეში არგუნა არსებობა.

მხოლოდ სხვა ქვეყნის ბაზების არსებობა არ განაპირობებს მოწინააღმდეგის მხრიდან ქვეყნის ინტერესების აგენტურულ ხელყოფას. ამას უნდა დაემატოს დედაქალაქში არსებული უცხო ქვეყნების ოფიციალური თუ არასამთავრობო წარმომადგენლობების საფარქვეშ მოქმედი სპეცსამსახურების წარმომადგენლები, რომელთა გამოსავლენად ტარდება შესაბამისი მუშაობა.

უშიშროების სამსახურმა ბოლო 9 წლის განმავლობაში იმდენი რყევები, რეორგანიზაციები და ხელმძღვანელობის ცვლა განიცადა, რომ მისი ძირითადი კონტრდაზვერვითი ფუნქციის — უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების აგენტურასთან ბრძოლის შედეგიანობის კოეფიციენტი დაეცა, მაგრამ ბოლო დროს უშიშროების სამინისტროში გატარებულმა და მიმდინარე რეორგანიზაციამ რადიკალურად შეცვალა მიდგომა კონტრდაზვერვითი მოღვაწეობის ძირითადი ფუნქციისადმი, როგორიცაა ქვეყნის უცხო აგენტურისაგან დაცვა. სუს ხელმძღვანელობა სისხლხორცეულადაა დაინტერესებული ოპერატიული დანაყოფებისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებით, შემუშავდა საიდუმლო თანამშრომლებთან ურთიერთობის ახალი პრინციპები, რომლებიც ათავისუფლებენ მათ ფსიქოლოგიური და ზნეობრივი დისკომფორტისაგან. აქედან გამომდინარე უცხო აგენტურასთან ბრძოლა უკვე იძლევა გარკვეულ შედეგებს და მოველით უფრო მეტს. ამასთან ერთად, მკითხველთა ფართო აუდიტორიამ უნდა იცოდეს, რომ გამოვლენილი უცხო ქვეყნის აგენტის აფიშირება არცერთი ქვეყნის პრაქტიკაში არ არის, თუ არ არსებობს პოლიტიკური მიზანშეწონილობა.

4. რა თქმა უნდა, საზოგადოებამ უნდა იცოდეს სიმართლე ქვეყანაში არსებული რეალური მდგომარეობის, სირთულეების, თუ ნაკლოვანებების შესახებ. გარკვეულ ფარგლებში ეს შეეხება ქვეყნის თავდაცვისუნარიანობასაც. როგორც სუს ერთ-ერთ ოპერატიულ დანაყოფს, შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ჩვენს ქვეყანაში ჯერჯერობით არ არსებობს სახელმწიფო და სამხედრო საიდუმლოების დაცვის ჩამოყალიბებული სისტემა. მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის გავრცელების ყოველ კონკრეტულ ფაქტს შეფასებას უნდა აძლევდეს კომპეტენტური კომისია, რომლის ოფიციალური დასკვნის შემდეგ განიხილება ცალკეული მოქალაქეების ან თანამდებობის პირების სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი.

## სატირა

# ბრალი ადევთ კისერზე ვაიპოლიტიკოსებს

საქართველო სულს
ლაფავს
შიმშილით და
სიცივით,
გენოციდის აჩრდილი,
უკან დაგვდევს
კვიცივით.
თვალს არ
დავახამხამებ,
უფლის ნება იყოს ეს,
ბრალი ადევთ
კისერზე
ვაიპოლიტიკოსებს.
ქვეყნის ავლა-დიდება
თავის თავებს
მიუძღვნეს,
ხალხს შიმშილით
ხოცავენ,
დაგვამსგავსეს
პირუტყვებს.
მართლის მთქმელებს,
სწავლულებს,
გაუკერეს პირები,
გაწყდნენ მეცნიერები
და მომრავლდნენ
ვირები.
გადაბუგეს ქვეყანა
საკუთარი სკამისთვის,
პასუხს მოსთხოვს
უფალი
ყოველივე ამისთვის.
ვუძლებთ
რაღაცნაირად
ელცინსა და
არძინბას,
რა გაუძლებს
ულირსის
ქირქილსა და
დაცინვას.



გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საქართველო" №58

# ლენინური პრემიის ლაურეატი — პლაგიატორი?

## ისტორიკოს პეტრე უშაკოვის საიდუმლოება

თუ როგორ ნაყოფიერად მუშაობდა პეტრე უშაკოვი, ამას ადასტურებს მისი შემდეგი ნაშრომები: "Урартско-русский словарь" (250 გვ.), "Материалы по древнейшей истории народов Каказа" (5 ნ. თ.), "Материалы по вопросу о генезисе чеченских языков и чечено-ингушской народности" (5 ნ. თ.), "Современное состояние науки о Древнем Востоке" (120 გვ.), "Об окаменевших префиксах в древних языках Передней Азии и в современных кавказских" (1 ნ. თ.), "Этнические элементы в Грузии в первом тысячелетии до н. э." (2 ნ. თ.), "Хеттские и картвельские лексические параллели" (1 ნ. თ.). ძალზე სამწუხაროდ, ყველა ზემოჩამოთვლილი ხელნაწერი ნაშრომი დღემდე დაკარგულია. საეჭვოა, რომ პეტრე უშაკოვს ნ. გოგოლისთანა რამ დამართნოდა და თავისი გამოუქვეყნებელი ნაშრომები თვითონვე გაენადგურებინა. ამას არც მისი მეუღლე, რომელიც 1976 წელს გარდაიცვალა, გააკეთებდა. ჩვენ ზემოთ დავინახეთ, თუ როგორ წუხდა იგი გარდაცვლილი მეუღლის ნაშრომების ბედ-იღბალზე. იქნებ ჩვენში იმხანად დიდი აჟიოტაჟი ატყდა ურარტუოლოგიურ და ხეთოლოგიურ ნაშრომებზე და მრავალი მსურველი გამოჩნდა მის მისათვისებლად!.. მაგრამ მკითხაობა ამ საკითხში აშკარად ზედმეტია.

1940 წელს პეტრე უშაკოვი განაგრძობდა ბიბლიოგრაფიული სამუშაოების შესრულებას. საერთოდ, მან რამდენიმე ათასი ბარათი შეადგინა უახლესი ლიტერატურის შესახებ — მხოლოდ აღნიშნულ წელს მის მიერ შედგენილ იქნა 2500 ბარათი. (შევნიშნავთ, რომ ყველა ესენი თავის დროზე იმყოფებოდა ენიმკის, ხოლო შემდეგ ისტორიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში, მაგრამ შემდეგ დაიკარგა). მანვე ჩაიფიქრა შეედგინა ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა „ლიტერატურისა საქართველოსა და კავკასიის შესახებ მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში". ჩაფიქრებული სამუშაოების განსახორციელებლად იგი ენიმკის დირექტორს აკად. სიმონ ჯანაშიას თხოვდა თვენახევრიან მივლინებას (1940 წლის მაისიდან) მოსკოვისა და ლენინგრადის უდიდეს წიგნთსაცავებში. ამავე წელს პეტრე უშაკოვმა დაასრულა ნაშრომები: "Материалы к составлению хеттского и неситского словаря" (4 ნ. თ.) და "Материалы к проблеме класификации древних языков Малой Азии" (ასევე 4 ნ. თ.), რომელთაც ზემოაღნიშნული ნაშრომების მსგავსი ბედი ეწიათ.

მაგრამ მაინც ყველაზე საინტერესოა ბედ-იღბალი პეტრე უშაკოვის მთავარი ნაშრომისა "Урартские исторические надписи и этногенез народов Малой Азии и Кавказа", რომელიც მან 1940 წლის ბოლოსათვის დაასრულა და რომელიც ჩაფიქრებული იყო ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად. მის შესახებ ჩვენ ვიგებთ სასწაულებრივად გადარჩენილი ორი ფურცლიდან, რომელიც პეტრე უშაკოვის საქმეში, ალბათ, შემთხვევით გადარჩა. 1941 წლის 19 აგვისტოს ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი სიმონ ჯანაშია ერევანში უნივერსიტეტის პროფესორს, ცნობილ აღმოსავლეთმცოდნე გრიგოლ ღაფანციანს წერდა: "Институт Истории Академии наук Грузинской ССР обращается к Вам с просьбой согласится принять на себе труд рецензии работы, представленной Институту старшим научным сотрудником Института П. Н. Ушаковым в качестве диссертации на степень доктора исторических наук на тему: "Урартские исторические надписи и этногенез народов Малой Азии и Кавказа"; "В названную диссертацию автором включен значительный материал по халдским (урартским) надписям и дается их перевод и истолкование. Диссертант использует также много данных по хеттологии"; "Имея в виду Ваш интерес к халдскому и хеттскому языкам и Ваши труды в этой области, Институт надеется на Ваше согласие дать прежде всего свою рецензию. О согласии вашем рецензировать названную работу просим сообшить, чтоб незамедлительно выслать Вам один экземпляр диссертации". პასუხი იგვიანებდა და 16 სექტემბერს იგივე ადრესატს ისტორიის ინსტიტუტის სწავლული მდივანი ალექსი რობაქიძე წერდა: "Не имея от Вас до сих пор ответа и предполагая, что возможно письмо не дошло до Вас, препровождаем Вам его копию с просьбой сообщить в Институт Ваше согласие". ამის შემდეგ, როგორც უკვე აღვნიშნავდით, პეტრე უშაკოვის პირად საქმეში ცნობები წყდება მთელი ორი წლის მანძილზე და მხოლოდ 1943 წლის 15 სექტემბრით დათარიღებულ ბოლო დოკუმენტს ვხვდებით. მაგრამ, საბედნიეროდ, მოვიძიეთ სხვა დოკუმენტები, რომლებიც შესაძლებლობას გვაძლევენ ნაწილობრივ მაინც აღვადგინოთ სინამდვილე.



როგორც უკვე ვწერდით, პეტრე უშაკოვს თავისი სადოქტორო დისერტაცია 1940 წლის ბოლოსათვის დამთავრებული ჰქონდა. მაგრამ, ჩანს, იგი აგვიანებდა ენიმკის სამეცნიერო საბჭოსათვის სათანადო განცხადებით მიემართა. ალბათ ელოდებოდა შესაბამისი სტატიების დაბეჭდვას. 1941 წლის 11 ივნისს მან სამეცნიერო საბჭოს წარუდგინა თავისი ნაშრომების სრული სია, სადაც ჩართო ამ წელს გამოქვეყნებული ოთხი ნაშრომი. ამის შემდეგ მას, ცხადია, სრული უფლება ჰქონდა თავისი ნაშრომის საპაექროდ გატანისა.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქივში დაცულია დოკუმენტი (ოქმი № 10), რომელიც ასახავს ენიმკის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომას, რომელიც გაიმართა 1941 წლის 28 ივნისს. სხდომას საბჭოს წევრებისა და შესაბამისი ინსტიტუტების თანამშრომელთა გარდა ესწრებოდა გარეშე საზოგადოებაც, რომელიც დაინტერესებული იყო ფილოლოგოს გიორგი ჯაკობიას მიერ საკანდიდატო დისერტაციის დაცვით (თემაზე „თეიმურაზ II"). მესამე საკითხად მოისმინეს: „ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომლის პ. უშაკოვის განცხადება, რომ მისი ნაშრომი "Урартские исторические надписи и этногенез народов Малой Азии и Кавказа" მიღებული იქნას დისერტაციად ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად.

მსჯელობაში მონაწილეობა მიიღეს:

აკად. ს. ჯანაშიამ: აღნიშნავს, რომ წარმოდგენილია საყურადღებო ნაშრომი თემის თვალსაზრისით. აუცილებელია რეცენზენტად გამოიყოს ერთ-ერთი სპეციალისტი მოსკოვ-ლენინგრადიდან; კერძოდ სასურველია აკად. ი. მეშჩანინოვი; ჩვენი ინსტიტუტიდან კი აუცილებელია ჩვენი ურარტულის სპეციალისტის გ. წერეთლის მონაწილეობა.

გ. ჩუბინაშვილმა: მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ რეცენზენტად გამოიყოს აკად. ს. ჯანაშია.

არნოლდ ჩიქობავა: აღნიშნავს, რომ თემა საყურადღებოა ჩვენი ინსტიტუტის თემატიკის თვალსაზრისით. ურარტულის სპეციალისტის მოწვევა მიზანშეწონილია. აკად. ი. მეშჩანინოვი ყოველმხრივ მისაღები კანდიდატურაა. აუცილებელია აკად. ს. ჯანაშიას მონაწილეობა დისერტაციის რეცენზირებაში.

ს. ყაუხჩიშვილმა: აკად. ს. ჯანაშიას ოფიციალურ ოპონენტად გამოყოფა აუცილებელია, რადგანაც იგი მუშაობს სწორედ იმ საკითხებზე, რომელთაც დისერტაცია ეხება.

დაადგინეს: პ. უშაკოვის მიერ წარმოდგენილი ნაშრომი "Урартские исторические надписи и этногенез народов Малой Азии и Кавказа" მიღებულ იქნეს დისერტაციად ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად.

რეცენზენტებად გამოიყოს: აკად. ი. მეშჩანინოვი, აკად. ს. ჯანაშია, უფროსი მეცნიერ თანამშრომელი გ. წერეთელი".

საინტერესოა, რომ ენიმკის საბჭოს ამავე სხდომამ მერვე საკითხად მოისმინა „აკად გ. ახვლედიანის განცხადება, რომ მზადაა დასაბეჭდად და შეიძლება გამოიცეს პ. უშაკოვის შრომა "Лидийские эпиграфические паметники".

მსჯელობაში მონაწილეობა მიიღეს აკად. ს. ჯანაშიამ, დოც. გ. წერეთელმა.

დაადგინეს: წარმოდგენილი ნაშრომი გამოსაცემად გადაეცეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობას.

რედაქტორად გამოიყოს აკად. გ. ახვლედიანი."

რასაკვირველია, პეტრე უშაკოვის აღნიშნულ ნაშრომს, მიუხედავად ასეთი მაღალი დონის დადგენილებისა, გამოცემა არ ეწერა და მანაც ავტორის სხვა მრავალი ნაშრომის ბედი გაიზიარა — ისიც დღემდე დაკარგულია. ვერ გამართლდა ენიმკის საბჭოს წევრებისა და თვითონ დისერტაციის მოლოდინი, რომ ოპონენტობას ისურვებდა აკად. ივანე მეშჩანინოვი. არ ისურვა თუ სხვა რაიმე მიზეზით, ამ უკანასკნელის კანდიდატურა მოიხსნა. ხაზს ვუსვამთ, რომ ამის თაობაზე რაღაც დოკუმენტი იარსებებდა, მაგრამ პეტრე უშაკოვის პირად საქმეში იგი არ ფიგურირებს. ამის შემდგომ არჩევანი შეჩერდა ცნობილ სომეხ ხეთოლოგს და ურარტუოლოგს, ერევნის უნივერსიტეტის პროფესორ გრიგოლ ღაფანციანზე. სამწუხაროდ, როგორც მოგახსენებდით, პეტრე უშაკოვის საქმეში მთელი რიგი გვერდებისა ამოხეულია, არ გვხვდება გრიგოლ ღაფანციანის პასუხი. შეიძლება ვივარაუდოთ... ვიგულისხმოთ, რომ იგი დადებითად გამოეხმაურა ჩვენი ისტორიის ინსტიტუტის მიმართვას, რის შემდეგაც მას გაეგზავნა დისერტაციის ერთი ეგზემპლარი, რის მიხედვითაც რეცენზია დაწერა. მაგრამ არაა გამორიცხული ის ვარიანტიც, რომ პროფ. გრიგოლ ღაფანციანმა თავი აარიდა რეცენზიას, რადგან იგი ნიკო მარის „ახალი თეორიის" მოწინააღმდეგე იყო და ამდენად პეტრე უშაკოვის დისერტაციის შესაბამის დებულებებს ვერ გაიზიარებდა. ასე რომ, დარჩა ერთადერთი შესაძლებლობა — მესამე ოპონენტიც ადგილობრივ შეერჩიათ. 1941 წლის 31 დეკემბერს გაიმართა ინსტიტუტის მორიგი საჯარო სხდომა (იხ. ოქმი № 23), რომელიც საკმაოდ ხალხმრავალი იყო, რადგან იგი ეძღვნებოდა აფხაზი ენათმეცნიერის ხუხუტი ბღაჟბას საკანდიდატო დისერტაციის დაცვას. (სხვათა შორის, აღნიშნულ სხდომაზე მეექვსე საკითხად მოისმინეს ასპირანტ გიორგი ქსენოფონტოვის ინდივიდუალური სამუშაო გეგმა (მომხსენებელი სიმონ ჯანაშია, მეცნიერ ხელმძღვანელად გამოეყო დოც. გიორგი წერეთელი). VIII საკითხად მოისმინეს: ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის პ. უშაკოვის სადოქტორო დისერტაციის მესამე რეცენზენტის გამოყოფის შესახებ (მომხს. სიმონ ჯანაშია). მსჯელობაში მონაწილეობა მიიღეს: ს. ყაუხჩიშვილმა და ვარლამ თოფურიამ. დაადგინეს: პეტრე უშაკოვის სადოქტორო დისერტაციის მესამე რეცენზენტად გამოიყოს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. სიმონ ყაუხჩიშვილი.

საბედნიეროდ, აღმოჩნდა პეტრე უშაკოვის სადოქტორო დისერტაციის მესამე ეგზემპლარი, რომელშიც რამდენიმეჯერაა ფანქრით აღნიშნული ადგილები და გვხვდება რამდენიმე ბერძნული სიტყვა. აშკარაა, რომ ყოველივე ეს შესრულებულია ბატონ სიმონ ყაუხჩიშვილის ხელწერით, რაც მისმა ერთ-ერთმა მოწაფემაც დამიდასტურა.

ახლა დისერტაციის ამ მესამე ეგზემპლარის შესახებ. იგი ამჟამად ინახება ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში (დისერტაცია გატარებულია 83-ე ნომრით). წინა წლებში ბიბლიოთეკაში მე რამდენჯერმე მოვიკითხე პეტრე უშაკოვის ნაშრომების შესახებ, მაგრამ ასეთ პასუხებს ვღებულობდი: ბიბლიოთეკაში მისი არავითარი ნაშრომი არ ინახება, იყო რამდენიმე ათასი უშაკოვისეული ბარათი, რომლებიც დაიკარგნენო. გასული წლის შემოდგომაზე ინსტიტუტის ერთერთმა თანამშრომელმა მითხრა, რომ ბიბლიოთეკაში არის ჩემს მიერ ძიებული ნაშრომი, აშკარაა, რომ ვილაცამ იგი (მესამე ეგზემპლარი) დააბრუნა უკანასკნელ წლებში.

პეტრე უშაკოვის დისერტაცია, რომელიც ამჟამად ინახება ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში შედგება 449 მანქანაზე ნაბეჭდი გვერდისაგან. მისი სტრუქტურა ასეთი გახლავთ: 1. Этапы и методы изучения урартского языка и урартских эпиграфических памятников (1-16-ე გვერდები), 2. Статьи по урартской грамматике (17-93), 3. Урартские надписи (94-322), 4. Народы Малой Азии во втором тысячлетии до н. э. (323-402), 5. Заключение (404-411), 6. Библиография (412-47), 7. Объяснение сокращенных обозначений (448-49). სარჩევში აღნიშნულია, რომ დისერტაციას ერთვოდა დანართი. შეგახსენებთ, რომ ზემოთ უკვე მივუთითებდი ამ 250 გვერდიან ნაშრომზე, რომელიც ჯერჯერობით დაკარგულია. ასე რომ, დისერტაციის აღნიშნული ეგზემპლარი ნაკლულოვანი სახითაა შემორჩენილი.

ახლა შევეცადოთ თვალი გადავავლოთ პეტრე უშაკოვის სადოქტორო დისერტაციის მსვლელობის პერიპეტიებს, სახელდობრ თუ რა ფაქტებს ჰქონდათ ადგილი 1942 წლის 11 მარტიდან მოყოლებული. რასაკვირველია, მისეულ პირად საქმეში ამის თაობაზე ვერაფერს ვერ ვღებულობთ — როგორც ვიცით, ეს ნაწილი ამოხეულია. სამწუხაროდ, ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესახებ სდუმან ენიმკის სამეცნიერო საბჭოს 1942-43 წლის სხდომის ოქმები. მაგრამ ჩვენთვის საინტერესო პიროვნებაზე კი რაღაც ცნობებს მაინც ვხვდებით. ენიმკის სამეცნიერო საბჭოს 1942 წლის 10 მარტს გამართულ სხდომაზე მეორე საკითხად დაადგინეს (ოქმი № 2): „პ. უშაკოვის თემა შეტანილ იქნეს ფილოლოგიის განყოფილების გეგმაში და დაზუსტდეს განყოფილების გამგესთან შეთანხმებით". ეს დოკუმენტი საფუძველს იძლევა გარკვეული ვარაუდისათვის, რაზედაც ქვემოთ ვილაპარაკებთ. 1942 წლის 10-16 და 18 მარტს გამართული ერთიანი სხდომის (ოქმი № 6) ამსახველ დოკუმენტში აღნიშნულია: „მოისმინეს დოც. პ. უშაკოვის შენიშვნები (იხ. „სტენოგრაფიული ანგარიში"). სახელდობრ თუ რას ეხებოდა ეს შენიშვნები ჩვენთვის უცნობი რჩება. 1942 წლის 10 დეკემბერს გამართულ ენიმკის საბჭოს სხდომაზე (ოქმი № 13) მოისმინეს ინგლისელი არქეოლოგოსის ელლის მინსის (გახლდათ კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორი) წერილი ინსტიტუტის გამოცემათა გადაგზავნის თაობაზე. სხდომაზე დადგენილ იქნა: „მიღებულ იქნას ცნობად, რომ ინსტიტუტის მიერ უკვე გადაგზავნილია უცხოეთთან კულტურული კავშირის საკავშირო საზოგადოებაში გამოცემების რიგი („მოამბე", ბ. კუფტინისა და გ. წერეთლის ნაშრომები და სხვ.) ე. მინსის მისამართით. დაევალოს დოც. პ. უშაკოვს გამოარკვიოს, გაიგზავნა თუ არა უცხოეთთან კულტურული კავშირის საკავშირო საზოგადოების მიერ ზემოხსენებული ნაშრომები ე. მინსის მისამართით". 1943 წლის 21 იანვარს გამართულ ენიმკის საბჭოს სხდომის ოქმში აღნიშნულია, რომ მას ესწრებოდა პეტრე უშაკოვი. 1944 წლის 28 ივლისს კი გამართულ ენიმკის სამეცნიერო საბჭოს საზეიმო სხდომაზე სიმონ ჯანაშია აცხადებდა: „უდროო იყო აგრეთვე გარდაცვალება ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომლის პ. უშაკოვისა" (იხ. მისი „მოკლე ანგარიში ენიმკისა და მისი სამეცნიერო მუშაობისა 1936-44 წწ." ენიმკის მოამბე, ტ. XIV, გვ. 395). ესაა და ეს; საკუთრივ დისერტაციაზე, ვიმეორებთ, ვერაფერს ვერ ვღებულობთ.

ახლა წამოვაყენებთ რამდენიმე ვერსიას იმის თაობაზე თუ რა უნდა მომხდარიყო პეტრე უშაკოვის სადოქტორო დისერტაციის დაცვასთან დაკავშირებით. დღემდე ვერ მივაკვლიეთ სამი რეცენზენტის პასუხებს, რომლებიც, უეჭველია, იარსებებდა. იქნებოდა თეზისები დისერტაციისათვის, მაგრამ არც აკადემიის არქივში და არც ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში ისინი არ ჩანს. სა-

გაგრძელება მე-7 გვ.

მე-6 გვერდიდან

ბედნიეროდ, მაინც აღმოჩნდა 21 თეზისი (4 გვერდზე), რომელიც პეტრე უშაკოვს ჰქონდა წარდგენილი.

ზემოთ უკვე მივუთითებდით, რომ დისერტანტი პეტრე უშაკოვი თავგადაკლული მარისტი გახლდათ და, ცხადია, დიდად სწამდა ნიკო მარის ახალი მოძღვრება ენის განვითარების შესახებ. აქედან გამომდინარე, იგი უარყოფდა მიგრაციების ფაქტორს ისტორიაში, კერძოდ ინდოევროპელთა მაგალითზე და მცირე აზიის, ეგეიდისა და მახლობელი აღმოსავლეთის ენების განვითარებას გაიაზრებდა ადგილობრივი ევოლუციის თვალთახედვით. რასაკვირველია, ეს არ მოეწონებოდათ სიმონ ჯანაშიას, არნოლდ ჩიქობავას, გიორგი წერეთელს და სხვებს, რომელნიც ივანე ჯავახიშვილისადარად ერთგულნი რჩებოდნენ ტრადიციული დასავლური ენათმეცნიერებისა. აქ უპრიანი იქნება მოვიტანოთ სიმონ ჯანაშიას სიტყვები, რომლებიც მან წარმოსთქვა ენიმკის საბჭოს ბოლო, 1944 წლის 28 ივლისის სხდომაზე: „ენათმეცნიერების დარგში ინსტიტუტი დაადგა ასევე გარკვეული შეხედულების გზას. მიიღო რა, დიდ სახელთან მოდგმის ხალხად, რაც ჩვენთვის, ქართველებისათვის მიუღებელია არა მხოლოდ ეროვნული, არამედ მეცნიერული თვალსაზრისითაც[1]. მაგრამ ფაქტია, რომ იმხანად, კერძოდ 40-იანი წლების პირველ ნახევარში, მარიზმი ძალაში იყო და რაც ამ შემთხვევაში უფრო მთავარი გახლავთ, პეტრე უშაკოვის სადისერტაციო ნაშრომში ფრიად ფასეულია ურარტუული ისტორიული წარწერების (სულ 36) წაკითხვა, ნარკვევი შესაბამისი ენის გრამატიკის შესახებ და ურარტუულ-რუსული ლექსიკონის შედგენა. ეს კი აუცილებელს ხდიდა ხარისხის მინიჭებას. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ყოველ შემთხვევაში სიმონ ჯანაშიასა და სიმონ ყაუხჩიშვილისათვის ეს არავითარ ეჭვს არ იწვევდა.

ახლა რაც შეეხება გიორგი წერეთლის რეაქციას, რომელიც ურარტუული ენის სპეციალისტიც იყო. პეტრე უშაკოვის დისერტაციაში გვხვდება უთანხმოებანი ავტორისეულ და გიორგი წერეთლისეულ წაკითხვებს შორის. გარდა ამისა 1940 წელს პეტრე უშაკოვს შეუსრულებია წლიური ნაშრომი "К новому чтению Атамханской надписи", რომლის ანგარიში მას საბჭოსათვის წარუდგენია 1942 წლის 15 მარტისათვის. ამ ტექსტის წაძლია. ასე რომ, დიდად სამწუხაროდ, პეტრე უშაკოვის მიერ სადოქტორო დისერტაციის დაუცველობა სფინქსის ამოცანად რჩება. მაგრამ არა, ხომ არის ამის მოწმე გიორგი მელიქიშვილი, რომელიც იმხანად, 1941-43 წლებში როგორც ენიმკის ასპირანტი სწორედ ურარტუოლოგიაში დასპეციალდა და რომელმაც საკანდიდატო დისერტაცია 1944 წელს დაიცვა. უნდა ვეცადოთ, რომ ეს სფინქსი, რომელიც აქამდე სდუმს და პეტრე უშაკოვზე ხმას არ იღებს, აველაპარაკოთ!

მაშ ასე, ჩვენ ამჟამად ხელთა გვაქვს, თუმცა ნაკლული სახით, პეტრე უშაკოვის სადოქტორო დისერტაცია და მისი შედარება გიორგი მელიქიშვილის "Урартские клинообразные надписи"-სთან, რომელიც ორ-ჯერ - ჯერ "Вестник древней истории"-ში, 1953-54 წლებში, ხოლო მეორედ ცალკე, 1960 წელს დაიბეჭდა. დიდი გულუბრყვილობაა ვიფიქროთ, რომ გიორგი მელიქიშვილს წაკითხული არა აქვს პეტრე უშაკოვის სადისერტაციო ნაშრომი. კვლავ გავიმეორებთ, რომ 1944 წელს პირველმა დაიცვა საკანდიდატო ნაშრომი ურარტუს სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ, რის გაცნობაც არავითარ ეჭვს არ სტოვებს, რომ მისი ავტორი ამ დარგში ისის იყო ფეხს იდგამდა გიორგი წერეთლის ხელმძღვანელობით. პეტრე უშაკოვი კი 40-იანი წლების პირველ ნახევარში მაღალი პროფესიული დონის ურარტუოლოგისს

# ლენინური პრემიის ლაურეატი — პლაგიატორი?

## ისტორიკოს პეტრე უშაკოვის საიდუმლოება

ერთად, მარის უზარმაზარი მეცნიერული მემკვიდრეობა, როგორც ძვირფასი საგანძური, რომელსაც სჭირია მეცნიერული დაცვა, შესწავლა და შემდგომი გამდიდრება, ამავე დროს ინსტიტუტმა გადაჭრით უარჰყო იაფეტიდოლოგიის პრეტენზია იყოს მარქსიზმის მომწიფებული წარმომადგენელი ენათმენიერებაში. ინსტიტუტმა კატეგორიულად უარჰყო, კერძოდ, იაფეტიდოლოგიის ისეთი პრინციპები, როგორიცაა:... 2) ენათა სტადიალური კლასიფიკაცია და, საერთოდ, თვით მოძღვრება სტადიების შესახებ, რომელიც სცვლის მარქსიზმ-ლენინიზმის ნათელ მოძღვრებას საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციების შესახებ, 3) ენათა უნივერსალური ახსნა სხვადასხვა ტომის სამეცნიერო-საზოგადოებრივი დაახლოების ნიადაგზე" (ენიმკის მოამბე, ტ. XIV, გვ. 384).

გარდა აღნიშნულისა, პეტრე უშაკოვი კოლხებს განიხილავდა ხეთური წყაროების კაშკების მემკვიდრეებად და ამდენად, აფხაზურ-ადიღეური კითხვისასაც იგი ხშირად უპირისპირდება გიორგი წერეთელს.

შესაძლებელიია, ყოველივე ამან გიორგი წერეთელი დიდად გააღიზიანა, (ჩვ შეიძლება დავასკვნათ ზემოაღნიშნული ერთი ფაქტითაც), რამაც შეაფერხა რეცენზიის დროული წარდგენა. შეიძლება ვიფიქროთ ისიც, რომ ამ პერიოდში პეტრე უშაკოვს ავადმყოფობა ძალზე მოერია, მითუმეტეს რომ, როგორც უკვე მოგახსენებდით, ორი წლის წინათ გარდაცვლილი პროფ. იოსებ მეგრელიძის გადმოცემით იგი მძიმე ეკონომიკურ პირობებში ცხოვრობდა.

ჯერჯერობით ახალი შესაბამისი წყაროების აღმოჩენამდე მეტის თქმა არ შეგვიწარმოადგენდა, რომელმაც შესაბამისი სამეცნიერო წრთობა ჯერ ნიკო მართან, შემდეგ კი კარლ ლემან-ჰაუპტთან მიიღო. გარდა ამისა, მან ხომ ოცამდე ენა იცოდა, რაც, ცხადია, დიდად გაუადვილებდა კერძოდ ურარტუული ენის შესწავლას. საბედნიეროდ, ამ დროისათვის მან გამოაქვეყნა რამდენიმე ნაშრომი ურარტუოლოგიის საკითხებზე. სწორედ ამ დროს ახალგაზრდა, დამწყები ურარტუოლოგოსი გიორგი მელიქიშვილი ხელს ჰკიდებს სადოქტორო დისერტაციას იმავე თემაზე, რაც მნიშვნელოვანწილად უკვე შესრულებული ჰქონდა პეტრე უშაკოვს! რა თქმა უნდა, გიორგი მელიქიშვილი აუცილებლად შეეცდებოდა წინამორბედი მეცნიერის სადოქტორო დისერტაციის გაცნობას. რაც შეეხება მითქმა-მოთქმას პეტრე უშაკოვის ნაშრომების დაკარგვისა და ამ საქმეში გიორგი მელიქიშვილის მონაწილეობაზე, რაც თავის დროზე გაჩნდა და ახლაც აქვს ადგილი („ტყუილს" საკმაოდ გრძელი ფეხი აღმოაჩნდა!), ჩვენი მტკიცე რწმენით იგი საფუძველს არაა მოკლებული და გიორგი მელიქიშვილმა მასზე პასუხი უნდა გაგვცეს.

*1. პეტრე უშაკოვი კრიტიკული პათოსით წერდა: „აღვნიშნავთ, რომ აკად. ი. ა. ჯავახიშვილი თავის შრომაში „ქართველი ერის ისტორია" (ნაწილი 1 და 2, 1913 წ.) კატეგორიულად აცხადებს (გვ. 26), რომ კასკი და კოლხი დიალექტიკური (!) ნაირსახეობა არის ერთი და იმავე სახელწოდებისა. პირველი ქართულისა, ხოლო მეორე — მეგრულ ნიადაგზე".*

**გურამ ყორანაშვილი**

/დასასრული მომდევნო ნომერში/

დასასრული. დას. იხ. „საქართველო" №58

### გულაბერ კლარჯი

# საქართველოს მეფეს, ალექსანდრე დიდს, უნდა ეწოდოს ლორელი



ერევნის მოედანი უწოდეს. რუსეთის პოლიტიკის შედეგად თბილისის საქალაქო საბჭოშიც სულ მთლად სომხები იყვნენ მოკალათებული და წინამდებარე მოედანიც თავიანთ ეროვნულ კუთვნილებად მიიჩნიეს.

დღეს ლორე-ტაშირი სომხეთის რესპუბლიკის შემადგენლობაშია. საბჭოთა, ბოლშევიკური რუსეთის ხელისუფლებამ არავითარი ანგარიში არ გაუწია იმას, რომ ქართველი ერი საუკუნეების განმავლობაში სისხლისაგან იცლებოდა ლორე-ტაშირის დასაცავად და 1921 წელს, როცა საინგილო მოგლიჯეს საქართველოს და აზერბაიჯანს გადასცეს, იმავე დროს ლორე-ტაშირიც ჩამოაცილეს ჩვენს ქვეყანას და სომხეთს უბოძეს. აზერბაიჯანი რუსეთის გაწითლებულ იმპერიას სჭირდებოდა საყრდენად ისლამურ სამყაროში კომუნისტური იდეების შესატანად. როგორც ჩანს, იმ ხანებში რუსეთისთვის სომხეთსაც უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა, ვიდრე საქართველოს. რუსეთი მრავალრიცხოვანი სომხური ემიგრაციის თავისი ინტერესებისათვის გამოყენებას აპირებდა.

ვინაიდან ლორეს განთავისუფლება მოხდა საქართველოს, ქართველი ერის ძნელბედობის ხანაში, რადგან ამ მიზნით, ალექსანდრე I-ის თაოსნობით, ოცი წლის განმავლობაში ქართველი ერი საგანგებოდ ემზადებოდა, ყველაფერი, შეუძლებელი გაკეთდა ლორე-ტაშირში ჯვაროსნული ლაშქრობის წარმატებით ჩასატარებლად, ამიტომ ამ დიდი გამარჯვების სულისჩამდგმელი, საქართველოს მეფე ალექსანდრე I სავსებით იმსახურებს, მადლიერმა შთამომავლობამ მას ლორელის წოდებულებაც მიანიჭოს.

საქართველოს ისტორიაში რატომღაც არ გვხვდება ამგვარი ტიტულები, თორემ მსოფლიო ისტორიამ მრავალი მსგავსი მაგალითი იცის. სანიმუშოდ მხოლოდ რამდენიმეს დავასახელებ. ქრისტეს შობამდე III-II საუკუნეებში ძველ რომში ცხოვრობდა ორი სციპიონი, უფროსი და უმცროსი. ორივე მათგანი ატარებდა აფრიკელის ტიტულს. მათ ეს წოდებულება კართაგენის დამარცხებისა და განადგურებისთვის მიენიჭათ. XIII საუკუნეში რუსეთის ერთ-ერთმა მთავარმა, ალექსადრემ მდ. ნევაზე შვედები დაამარცხა. ამ გამარჯვებისთვის რუსებმა მას ნეველი შეარქვეს. 1827 წელს, როდესაც პასკევიჩმა ერევანი აიღო, მას ერევნელის ტიტული მიანიჭეს. სხვათა შორის, ეს ძვირად დაუჯდა ქართველ ერს. საქმე ისაა, რომ პასკევიჩის საპატივცემულოდ თბილისის მთავარ მოედანს (ახლანდელ თავისუფლების მოედანს) ერევნელის მოედანი დაარქვეს. XIX საუკუნეში რუსეთის იმპერიის ხელისუფლებამ ქართული სულის ჩასაკლავად სომხების გამოყენებაც განიზრახა, მოამძლავრა, მოამრავლა ისინი თბილისშიც. ამის საფუძველზე სომეხთა გარკვეულ წრეებს დიდი პრეტენზიები გაუჩნდა საქართველოს, კერძოდ, თბილისის მიმართ (მკითხველს შევახსენებ, რომ ამ საკითხზე ვრცელი, საგანგებო საუბარია გამართული ილია ჭავჭავაძის თხზულებაში — „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი"; შემოკლებით ამ თხზულებას „ქვათა ღაღადი" ეწოდება). თბილისში მომძლავრებულმა სომხურმა ბურჟუაზიამ ქრთამიც გაიღო და ერევნელის მოედანს სახელად

სომხეთის, სომეხთა გარკვეულ წრეებს, როგორც გამოცდილებით ვიცი, ალბათ, არ მოეწონება ჩემი წინადადება, რომ საქართველოს მეფე ალექსანდრე I-ს ეწოდოს ლორელი. მაგრამ რა ვქნათ, ჩვენს წარსულზე, მრავალტანჯული საქართველოს ისტორიაზე, თავგადასავალზე უარს ხომ ვერ ვიტყვით იმის მიხედვით, ვის რა მოსწონს და რა არა. საქართველოს გმირულმა წარსულმა დღეს ხომ დიდი როლი უნდა შეასრულოს ჩვენი ქვეყნის კიდევ ერთხელ მკვდრეთით აღდგომის საშვილიშვილო საქმეში. ზოგ-ზოგებს იქნებ არც ლაშა-გიორგის უფლისწულობის დროინდელი ტიტული, ჯავახთუფალი მოსწონთ, მაგრამ თამარ მეფემ და ლაშა-გიორგიმ ხომ არ იცოდნენ, რომ სომეხთა გარკვეული წრეები XX-XXI საუკუნეთა მიჯნაზე შოთა რუსთაველის მშობლიური მხარის, ჯავახეთის დედასაქართველოსგან მოგლეჯას და სომხეთთან მიერთებას დაასკვნიდნენ. XII-XIII საუკუნეებში ამის წინასწარმეტყველებას ნოსტრადამუსიც ვერ შეძლებდა.

**რედაქციისაგან:**

გაზეთ „საქართველოს" წინა №58-ში დაბეჭდილ გულაბერ კლარჯის წერილში გაიპარა შეცდომები. დაბეჭდილია: „ლორეს ციხე-სიმაგრის სრული განთავისუფლება 1314 წელს მომხდარა". უნდა იყოს: „1431 წელს", დანარჩენი როგორც ტექსტშია. დაბეჭდილია: ლორე-ტაშირში „კვლავ აღწევდა ჩაკლული ქართული სული". უნდა იყოს: „კვლავ აღზევდა ჩაკლული ქართული სული".

# წერილი რედაქციას

წლევანდელი „საქართველოს" 56-ე ნომერში დაიბეჭდა მასწავლებლების — შოთა კაპანაძის, შოთა ჭავჭანიძისა და სხვათა მიმართვა. მასში გამოთქმულია გულისწყრომა იმის გამო, რომ რუსთაველის ძეგლის არემარე მახინჯდება ახალი „მშენებლობით" (ასეთივე გულისწყრომაა გამოთქმული მეორე წერილშიც, რომელსაც „მოქალაქე ელენა" აწერს ხელს).

რა თქმა უნდა, მიმართვის ავტორთა გულისტკივილი გასაგებია და, თუ სადმე სამართალია, მათ მხარი უნდა დავუჭიროთ და ეს სამარცხვინო მშენებლობა შევწყვიტოთ. თბილისის მერიამ, ისედაც დანგრევისპირად მისულ თბილისში, ნუთუ ადგილი ვერ ნახა კაფე-ბარისა თუ რაღაც ამდაგვარის ასაშენებლად, რუსთაველის ძეგლის ცხვირწინ რომ არ წამოჭიმონ იგი? რუსთაველის საზოგადოება მთლიანად იზიარებს მიმართვას, ავტორთა გულისტკივილს, მხარს უჭერს მათ აზრს, მაგრამ უბედურება ის გახლავთ, რომ რუსთაველის საზოგადოებას არაფერი ძალუძს. იგი ვერავის დაიცავს, რადგან თავად არის დასაცავი. ქონების მართვის სამინისტროს განკარგულებითა და ვაკის სასამართლოს გადაწყვეტილებით რუსთაველის საზოგადოება (ილია ჭავჭავაძის საზოგადოებასთან ერთად) ბინიდან უნდა გამოაგდონ და უსახლკაროდ დატოვონ. ეს დაჟინებული სურვილია გარკვეული წრეების. ამ საქმეს, ჩანს, აღარ ეშველება და მალე რუსთაველის საზოგადოება აღარ იარსებებს.

სამწუხაროდ, მიმართვის ავტორებმაც და გაზეთის რედაქციამაც ერთი სერიოზული შეცდომა დაუშვეს — რუსთაველის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე მე არ ვარ. რუსთაველის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარეა პოეტი მურმან ლებანიძე. ამგვარი შეცდომა გაზეთს, მით უფრო, „საქართველოს", არ უნდა მოუვიდეს.

**აკაკი ბაქრაძე**

# მუხრანს

ყოველთვის გულში გვიყვარდი,
მუხრან!
დღეს გაცილებით მეტად
გვიყვარხარ,
შენს დაღონებას იმიტომ
ვწუხვართ,
როგორიც იყავ, ისევ ისა ხარ!
არ გიცხოვრია გრიმით და
ნიღბით,
ლექსად ამბობდი და ამბობ
მართალს,
დაღონებული ქართველის იღბლით,
ვერ ჩაეხუტე მტარვალს და
თათარს.
ვერც მარბიელი რუსი იგუე,
ჩვენთან შობილი, ის
შობელძაღლი,
და რადგან თავი ვერ მოიტყუე,
იმიტომ ძვირი დაგისვეს დახლი.
ვეთაყვანებით შენს შემართებას,
გიკოცნით ლექსის სტროფსა და
სტრიქონს,
რაც გვჭირს, არასდროს
დაგვემართება,
ყველა რომ შენი ტოლფასი იყოს.
კვლავ ჭაბუკურად იქნევ
სატევარს,
დაემშვიდობე თუმცა ვარდობას,
ვერ მოხერხდება ლექსში ჩატევა,
მუხრან, რამდენსაც გიძღვნი
მადლობას.

**ნიკოლოზ იოსებიძე**

# ე. შევარდნაძე დიდ ფოსტას ჩამოვიდა...



პრეზიდენტისა და მისი მრავალრიცხოვანი ხელქვეითების აქტიური ჩარევით, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ სრულიად უკანონო გადაწყვეტილება მიიღო, რომლის ძალითაც რუსთაველის № 27-ში (ყოფილ კადეტთა კორპუსში) ჭავჭავაძის და რუსთაველის საზოგადოებებს გაკოტრებული „ივერთბანკის“ სასარგებლოდ (მეანაბრეთა ინტერესების მოშველიებით) გაუუქმდათ ფართის ფლობის უფლება. მოკლედ, მკითხველი ღმერთმა დაიფაროს და თქვენი გაკოტრებული მეზობლის ვალებში მის ბინას თქვენიც რომ მიაყოლონ, ასე მოხდა ამჯერად.

ხელისუფალთა მხრიდან დიდი წნეხის ქვეშ გამართული სასამართლო პროცესი ა. წ. 17 სექტემბერს სახ. ქონების მართვის სამინისტროს უკანონო გადაწყვეტილების გამართლებით დასრულდა. სანაცვლოდ მთავრობა რუსთაველის საზოგადოებას, ამავე პროსპექტზე მდებარე დამწვარ-დანახშირებულ დიდი ფოსტის შენობაში, უახლოეს ნათელ მომავალში, გარკვეულ ფართს შეპირდა. რაც შეეხება ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას, მას ამ შენობაში დაგროვილი ნახშირიც არ არგუნეს.

ზემოაღნიშნულ ტრაგიკომიკურ სიტუაციას მიუძღვნა პოეტმა დავით ტაკიძემ თავის ლექსად გარითმული გამოსვლა ვაკის სასამართლოში, ა. შ. 17 სექტემბერს.

### „კომუნისტებმა რაც მომცეს, „დემოკრატებმა“ წამართვეს

მტერი რუსთაველს არა ჰყავს
საქართველოში თქვენს მეტი,
დაიწყო მისი სახლ-კარის
გაუგონარი რეკეტი.
ბედი არ ჰქონდა ჩვენს შოთას,
საფლავი რომ არ ელირსა,
ახლა ბინიდანც აგდებენ
ჩინოვნიკები ედისა.
არა მგონია ეს ხალხი
ქვეყანას თავს რომ გაართმევს,
კომუნისტებმა რაც მომცეს,
„დემოკრატებმა“ წამართვეს.
თქვენ გეკუთვნითო შენობა,
და არა მცირე ნაწილი,
მიდასტურებენ ხელწერით
ღვალაძე[1], თაბუკაშვილი[2].

**მისამღერი:**
გუშინ მწერდი
მართალი ხარ,
ახლა დგახარ ძალაზეო,
ასე ჩემო ღვალაძე,
ხან ისე და ხან ასეო.

**ივერთბანკს:**
მე ხომ შვილივით მიგილე,
დაგაპურე და გაგზარდე,
მამის მკვლელივით მიმუხთლე,
ბოლო სამოსიც გამხადე.
ოქრუაშვილს[3] რომ ვუყურებ,
რა აზრი მქონდეს ამ კაცზე,
თავხედებად რომ მონათლა
ლებანიძე და ბაქრაძე.
კომკავშირიდან რომ დაგყვა,
არ გასწორდება ის ნაკლი,
ჩემგან მთავრობას რომ იცავ,
არა გრცხვენია, ირაკლი!
ივერთბანკს: და დოლარებით ვიშინსკის
ადვოკატს როცა იბირებ,
გაძარცვას აღარ ყაბულობ
მგონი დაჭერას მიპირებ.
გამუდმებით რომ მატყუებ,
აბა, როგორი სანდო ხარ,
ჩემი სახლიდან მაძევებ,
ბანკი გქვია, თუ ჯაყო ხარ.
მეანაბრეს რომ აბრიყვებ,
უსახლკარობით დამტორო,
ნუთუ ამისთვის დაგნიშნეს
სოსიკო[4] ლიკვიდატორო.
დათვლილ გროშებად პაიში,
ამას რად უნდა მსჯელობა,
როგორ დევს ბრძენო ბანკირნო,
ჩემი სამეფო შენობა.
გინახავთ უფრო კეთილი
საქმე ამ ცოდვილ მხარეში,
თქვენგან გაძარცულ ქართველ ხალხს,
ცრემლი რომ უდგათ თვალებში,
მებრალება და ორ სართულს
ვიძლევი მდგმურის ვალებში.
რატომ არ გყოფნით, ჩვენს შორის
მართალს უფალი გაარჩევს,
არა მგონია სამშობლო
ამდენ სიხარბით გადარჩეს.
რომ შევიბრალოთ ეს ხალხი,
ნუთუ არაა იმის დრო?
თოხაძევ,[5] ლობჟანიძევ[6] თუ
ქონების ძარცვის მინისტრო.
მარტო წართმევა ისწავლეთ,
აბა, თქვენ ვის რას შველითა,
ვაი, ეგეთას სამართალს
მანაგაძისა[7] ხელითა.
ამაზე როგორ დავთანხმდე,
ხანაც ვიცინი, ხან ვტირი,
რუსთაველს ფოსტა[8] დამწვარი,
ჭავჭავაძეს კი ნახშირი.
გინახავთ სადმე პარტიებს,
ამგვარ პირობებს უქმნიდნენ,
ცოცხალ ხალხს ჰყრიდნენ ქუჩაში,
სახლს მიცვალებულს ჩუქნიდნენ.
ისტორიაა... დაფიქრდით,
ხვალ ილალადებს დავთრები,
ბოლოს დარჩებით, იცოდეთ,
ქართველი ჰეროსტრატები.
თუ გაიმარჯვებს მევახშე,
სიმართლე გათელილია,
შეაურყოლებენ საფლავში,
რუსთაველსა და ილიას.

---

1. ირაკლი ღვალაძე — სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს იურიდიული სამმართველოს უფროსის მოადგილე. წარმომადგენელი პროცესზე.
2. რეზო თაბუკაშვილი — სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს უძრავი ქონების სამმართველოს უფროსი. წარმომადგენელი პროცესზე.
3. ირაკლი ოქრუაშვილი — სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს დაქირავებული ადვოკატი.
4. სოსო მაღალდაძე — „ივერთბანკის“ ლიკვიდატორი
5. ოთარ თოხაძე — „ივერთბანკის“ ყოფილი პრეზიდენტი
6. თამაზ ლობჟანიძე — „ივერთბანკის“ ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი
7. ირაკლი მანაგაძე — ეროვნული ბანკის პრეზიდენტი
8. კავშირგაბმულობის შენობის მე-3 სართული.

# ძაღლი ჰყეფს, ქარავანი მიდის

აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები და დანიშნული გამგებლები, მმართველობაში მაფიოზურ-კლანურ პრინციპს რომ უპირატესობას ანიჭებენ, ვიდრე კანონებს, ადათობრივ სამართალსა თუ ზნეობის ნორმებს, ეს ჩვენი საზოგადოებისთვის სიახლეს ნამდვილად არ წარმოადგენს. ამ უკანასკნელმა ისე გაიდგა ფესვები ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, რომ თითქოსდა შევეგუეთ ყველაფერს და ფარხმალი დავყარეთ უსამართლობასთან ბრძოლაში. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ ღირსეული წინაპრების ღირსეული მემკვიდრეები უნდა ვიყოთ.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი რედაქცია უყურადღებოდ არ ტოვებს არც ერთ წერილსა თუ შეტყობინება, გულთან მიაქვს „ქვეყნის ჭირი“ ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ფაქტი, რომელზედაც ეხლა მოგითხრობთ.

ქალბატონი ელისო გიგაური 1988 წლიდან ნაძალადევის რაიონის ბაზრის დირექტორად მუშაობს. ამ ხნის განმავლობაში მუშაობაში არანაირი ხარვეზი არ ჰქონია. ქვეყანაში არსებული მძიმე კრიმინოგენული მდგომარეობის დროს, ბაზარი რამდენჯერმე დაუყაჩაღებიათ. მიუხედავად პოლიციაზე მრავალგზის შეტყობინებისა, საქმე არ აღძრულა.

1997 წლის სამ თებერვალს, ნაძალადევის რაიონის გამგეობამ, პირადად ვაჭრობის განყოფილების უფროსის მერაბ ზამბახაძის დაინტერესებით, გიგაური თანამდებობიდან გაათავისუფლა. საფუძველი გამგებლის განკარგულება გახლდათ, მოტივი კი აბსურდული ბრალდება. გამგეობა არ შეუთანხმდა პროფკავშირებს, უფრო მეტიც, საკითხის განხილვას, თურმე ქალბატონი ელისო გიგაური საერთოდ არ ესწრებოდა, რაც შრომის კანონმდებლობის უხეში დარღვევაა.

1997 წელს სასარჩელო მოთხოვნით მიმართეს ნაძალადევის რაიონის სასამართლოს, რომელმაც 29 აპრილს დააკმაყოფილა სარჩელი, გიგაურის გათავისუფლება არაკანონიერად სცნო და იგი აღდგენილ იქნა თავის თანამდებობაზე. ამის შემდგომ დაიწერა საკასაციო საჩივარი ნაძალადევის გამგეობის მიერ, მაგრამ აღნიშნული გადაწყვეტილება 1997 წლის 8 ივლისს დატოვებული იქნა ძალაში, მოსარჩელე გიგაურის სასარგებლოდ. ამის შემდეგ აღნიშნული საქმე გასაჩივრებული იქნა ქალაქის სასამართლოს თავმჯდომარესთან, მაგრამ მათ მიერაც გადაწყვეტილება დატოვებულია ძალაში. უზენაესმა სასამართლომაც კანონიერად მიიჩნია სასამართლოს გადაწყვეტილება, მაგრამ სასამართლოს მიერ გამოტანილი კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულება არ ხდებოდა, რომ არა ზემდგომი ინსტანციების არაერთგზისი მიმართვები.

აი, რას ვკითხულობთ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასამართლო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის წერილში, რომელიც 1998 წლის 23 თებერვლითაა დათარიღებული და საქართველოს პარლამენტის მართლწესრიგისა და კანონიერების დაცვის ქვეკომიტეტის თავმჯდომარეს ბატონ ხაზარაძესა და მოქალაქე ელისო გიგაურს გაეგზავნათ: „თქვენგან გადმოგზავნილი ელისო გიგაურის განცხადების საფუძველზე დავუკავშირდით თბილისის ნაძალადევის რაიონის სასამართლოს, საიდანაც გვაცნობეს, რომ გადაწყვეტილება გიგაურის ბაზრის დირექტორად აღდგენის შესახებ, მართლაც ძალიან გართულდა. არაერთი თხოვნის უსაფუძვლოდ დატოვების შემდეგ, 1998 წლის 6 თებერვლის მასალები ე. გიგაურის სამუშაოზე აღდგენის შეუსრულებლობის გამო, გადაეცა პროკურატურას, რათა რაიონის ვაჭრობის განყოფილების უფროსი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცეს ს.ს.კ-ის 203-3 მუხლით“.

ამ წერილის გაცნობის შემდეგ, თუ დღევანდელი გადასახედიდან გადავხედავთ, რამდენიმე კაცი უკვე სასჯელსაც უნდა იხდიდეს, მაგრამ „ძაღლი ჰყეფდა, ქარავანი მიდიოდაო...“. „ქაღალდით დაჭრილი“ ჩინოვნიკები, ახლა გაღმით შემოდავების პრინციპს იყენებენ და ელისო გიგაურს იქეთ ედავებიან. მაგრამ უბედურება ისაა, რომ კურიოზულ მდგომარეობაში ვარდებიან. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, ბატონმა ჯიმი ყიფიანმა საზედამხედველო პროტესტის ბოლო ნაწილში ასეთი ფრაზა მოათავსა: „გთხოვთ მოცემულ საქმეზე გააუქმოთ სასამართლო გადაწყვეტილებები და გამოიტანოთ ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდება სარჩელის მოთხოვნაო“. საინტერესოა, განაჩენი, კომუნისტებივით დღევანდელ ხელისუფლებასაც კაბინეტებში თუ გამოაქვს და თანაც ერთი პიროვნების სურვილისამებრ, რა საჭიროა სასამართლო პროცესები და სისხლის სამართლის ფუძემდებლური პრინციპების თეორიაში დანერგვა, თუ მას პრაქტიკაში განხორციელება არ უწერია.

ეხლა საქმე დიდუბის რაიონის სასამართლოს აქვს განსახილველად. როგორც შევიტყეთ, მოსამართლეზე ზეწოლას აქვს ადგილი, აშინებენ სახელმწიფო კანცელარიიდან აღნიშნული ბაზრის ყოფილი დირექტორის ჟორა სირბილაძის ახლობლები და მხარდამჭერები. ჟორა სირბილაძე კი ყოფილი „ნაძალადევის საძმოს“ უფროსი და ზვიადისტური ხელისუფლების მიერ დასმული პრეფექტი გახლდათ. ვნახოთ, დაველოდოთ მოვლენების განვითარებას. ერთი კი გვჯერა, რომ სამართალი იზეიმებს.

**კობა კაპანაძე**

# ინტერნეტი და საქართველოს საკითხები

## „რუსეთის იმპერიის ხალხების წითელი წიგნი“

ინტერნეტში ესტონელებმა შეიტანეს გამოუქვეყნებელი წიგნი „რუსეთის იმპერიის ხალხების წითელი წიგნი“.

„ამ წიგნის ავტორები ესტონეველი ვართ, ჩვენს თავზე ვიწვნიეთ რუსეთის და საბჭოური იმპერიების ჩაგვრა, იქნებ ჯერ არ არის გვიან თანაგრძნობის ხელი გაუწოდოთ მცირე ეროვნებებს.

ტალინი, 1993 წ.

ანტს ვირეს, ფილოსოფიის დოქტორი“.

ჩვენი განმარტება: არც „წითელ წიგნში“, არც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ერთერთი განყოფილების — გაეროში გასაწევრიანებელი ქვეყნების ორგანიზაციის (UNPO) მიერ კავკასიის მოსახლეობის შესახებ სწორი შეხედულებები არ არის გამოთქმული, რადგან ავტორები დამახინჯებული ცნობების საფუძველზე მსჯელობენ, რომელთაც მათ დაინტერესებული კავკასიის და ევროპა-ამერიკის მოქალაქეები აწვდიან. „წითელი წიგნი“ 30000 სულზე ნაკლები ეროვნებების კრებულია, ამიტომ მასში არ უნდა იყოს თავი „აბხაზები“ (30000-ზე მეტია აღწერით). ვიცით, რომ აბხაზები ქართველებია, როგორც კახელები, რაჭველები და სხვ. აბხაზები აბსუები არ არიან, რადგან აბსუები სამხრეთკავკასიაში არ ცხოვრობენ (I ს-ში ასტრახანის მახლობლად, XVI ს-ში ჩრდილოეთ კავკასიაში იყვნენ უმნიშვნელო ტომად). „წითელ წიგნში“ სწორად წერია, რომ აბხაზური ენა (აბსუა ენა უნდა ეწეროს) იგივე აბაზურია, რომ მათი გაყოფა მეოცე საუკუნეში მოახდინეს. აბხაზეთის მდებარეობა აღწერილია შემდეგნაირად: აბხაზეთია შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთის მცდარად ხსენება შემთხვევითად არ მიმაჩნია — ძველ ქალაქ აფსაროსს (ბათუმთან) აბსუების (საბჭოური მცდარი დასახელებით — აფხაზების) ძირძველ ტერიტორიად მიიჩნევენ (აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე, სხვებიც). ინტერნეტის კავკასიის რუკაზე აფხაზეთი ჭოროხამდეა გადაჭიმული.

„წითელი წიგნიდან“ ამოსაღებია ტექსტი „ქართველი ებრაელების“ შესახებ — ისინი ისრაელში გადასახლდნენ. ქართველი ებრაელი ისევე მცდარი სახელია, როგორც ლიტველი თათარი. ადამიანი ან ებრაელია, ან ქართველი; ან ლიტველია, ან თათარი. საერთოდ გამაოგნებელია ეროვნება „აზერბაიჯანელის“ შემოღება 1936 წელს — თათრების, თურქმენების, ქურთების, თურქების და მრავალი სხვა მომთაბარე ტომის ერთობად ძირძველ კავკასიელებად და კავკასიური კულტურის მიმდევრებად გამოცხადებით...

„წითელ წიგნში თუშები თითქმის არაქართველებად არიან გამოცხადებული, წიგნის ავტორები მისტირიან თუშების „გაქართველებას“ — ისინი ქისტებად მიაჩნიათ. წიგნში შეტანილია უდე ეროვნების, კავკასიაში მცხოვრები სხვა უმნიშვნელო ტომების შესახებ მასალა - ცხადია, არასწორი.

კავკასიით ზედმეტად ინტერესდებიან.

კავკასიის აწენილი საკითხების გარკვევა იაპონელმა სეიჩი კიტაგავამ, იაპონიის ხიროსაკის უნივერსიტეტიდან სცადა. მან იაპონელისთვის ჩვეული მსჯელობით დაალაგა საქართველოს პოზიცია, მეორეს მხრივ — „აბხაზეთის რესპუბლიკის“ პოზიცია. დასკვნაში მან აღნიშნა, რომ ეს ორი პოზიცია ურთიერთშეუთავსებადია და მორიგება ვერ მოხერხდება.

იაპონელმა მეცნიერმა არ იცის, რომ აბხაზები ქართველების ერთი ჯგუფის სახელია, ხოლო აბსოები აბხაზები არც დღეს არიან, არც წინათ იყვნენ — ისინი ვოლგისპირეთში ცხოვრობდნენ, სადაც ჩერქეზებივით რუსეთისგან ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ჩამოვიდნენ (ივანე ჯავახიშვილი და სხვ.) ვოგულების, ოსტიაკების ტერიტორიიდან. ოსტიაკების სურათს გთავაზობთ პროფ. შოპენის წიგნიდან „რუსეთი“, ფრანგულ ენაზე, პარიზი, 1880 წ. ოსტიაკების და ვოგულების სამშობლო იხილეთ რუკაზე წიგნიდან „ევროპის ეროვნებათა ენები“ — ფრანგულ ენაზე, 1940 წ. პარიზი.

*ჩერქეზებისა და აბსუების წინაპარი ოსტიაკები და ვოგულები რუსეთის ჩრდილო ნაწილში (დენცეს წიგნიდან „ევროპის ენები“, ფრანგულ ენაზე, პარიზი, 1940 წ.)*




### აბაზა ხალხი

თვითსახელი. აბხაზები თავიანთ თავს აპსუა-ს უწოდებენ და თავიანთ უძველეს ტერიტორიას — „აშვი“-ს (აბხაზთა მიწას ნიშნავს). ყარაჩაი და ყაბარდოელები აიგბა-ს და მდაუეი-ს უწოდებენ, უბიხები — ბასხიგ-ს, სვანები — მეფჰაზ-ს, მეგრელები — აფჰაზა-ს, ქართველები — აბხაზი-ს, თურქები — აბაზა-ს. რუსეთის გზით სახელი „აბხაზ“ გავრცელდა. აბხაზური ენა კავკასიური ოჯახის აბხაზო-ადილურ ჯგუფს მიეკუთვნება. პრაქტიკულად აბხაზურის და აბაზურის ფონეტიკაც და მორფოლოგიაც ერთნაირია. აბხაზური და აბაზური მეოცე საუკუნემდე ერთიდაიმავე ენად იყო მიჩნეული (აბხაზ ენდ აბაზა ჰევ ბიინ რიგაადიდ ეზ სეპარატ ლენგუჯიზ ონლი სინს 20 სენჩერი, მეინლი ბიქოზ ოვ დეა ტერიტორიალ სეფარეიშენ) უმთავრესად აბხაზების და აბაზების ტერიტორიების ცალ-ცალკე არსებობის გამო.

ტერიტორია. მდ. ფსოუ დასავლეთით, ენგური — აღმოსავლეთით, შავი ზღვა — სამხრეთით და კავკასიონის ქედი ჩრდილოეთით. ადმინისტრაციულად აბხაზეთი საქართველოს ეკუთვნის ავტონომიური რესპუბლიკის სახით. აბხაზეთი ხუთ რაიონად იყოფა, მათგან ორი — გუდაუთა და ოჩამჩირე, უმთავრესად აბხაზებით არიან დასახლებული.

მოსახლეობა. მე-19-ე საუკუნის შუა წლებში 130000 აბხაზი ცხოვრობდა (აბაზა და უბიხი ხალხების ჩათვლით). უფრო ზუსტი სტატისტიკა 19 ს-ის დასასრულიდან გვაქვს.

მოსახლეობის რაოდენობის შემცირება 1897-1926 და ზრდა 1926-1939 წლებში სტალინის ეროვნული პოლიტიკის შედეგია. აბხაზები აჭარაშიც ცხოვრობენ — 1361 ადამიანი, 72% აბხაზურად მეტყველებს, დანარჩენებს ქართულად და რუსულად მეტყველება ურჩევნიათ.

ანთროპოლოგიურად აბხაზი ხალხი ბალკანურ-კავკასიური რასის დასავლეთ-კავკასიურ ტიპს მიეკუთვნება. საშუალოზე მაღლებია, თეთრი კანით, მკვეთრი ნაკვთებით და მუქი თვალებით.

რელიგია. ქრისტიანობა, სუნიტური მაჰმადიანობა და ძველებური წარმართობა გადახლართულია. ქრისტიანობასთან შეხება 1 საუკუნეში დაიწყო. 4 ს-ში ბიჭვინთის მთავარეპისკოპოსი სტრატოფილე ნიკეის მსოფლიო ქრისტიანთა კრებას ესწრებოდა 325 წელს. აბხაზებს დიდი წვლილი მიუძღვით ქრისტიანობის ჩრდილო-კავკასიაში გავრცელებაში. აბხაზეთის და საქართველოს დაახლოვებაში ქრისტიანობამ დიდი როლი ითამაშა. 16 ს-ში თურქებმა მაჰმადიანობა გაავრცელეს სახელმწიფო რელიგიად 19 ს-ის ბოლომდე. მოსახლეობა წარმართი დარჩა.

ეთნოლოგიურად აბხაზი ხალხი კავკასიის ძველი, მკვიდრი მოსახლეობაა. მათი კულტურა ქართულ კულტურას უახლოვდება. პირველად აბხაზი ხალხი იხსენიება წერილობით ცნობაში **აბეშლა** ტომების შესახებ, რომლებიც მცირე აზიაში ცხოვრობდნენ. (გიორგი ქსენოფონტოვის-მელიქიშვილის ეს მცდარი შეხედულება „წითელ წიგნში“ შეუტანიათ). ეს წერია ასურეთის მმართველის თიგლათპილესერისწარწერაში. აბხაზების წინაპრები: აპსილები, მისიმიანები, აბაზგები, სვანიგები იხსენიებიან რომაელი და ბერძენი ისტორიკოსების თხზულებებში, როგორებიცაა ჰეკატე მილეთელი, სტრაბონი, ფლავიუს არიანე. I ს-ში ძველაბხაზურმა ტომებმა დააარსეს ცალკე სათავადოები, რომლებიც კაზიკის (უნდა იყოს ლაზიკა) სათავადოში გაერთიანდა 4-ე საუკუნეში. 7-8 სს-ში აბხაზური ტომებისგან აბხაზი ერი ჩამოყალიბდა. 740 წელს აბხაზეთი გამოეყო ლაზიკას. 780 წელს აბხაზეთის მთავარმა, ლეონ მეორემ **დასავლეთ საქართველო შეიერთა** და ჩამოაყალიბა აბხაზეთის ერთიანი სახელმწიფო, დედაქალაქი იყო ქუთაისი. 978 წელს აბხაზეთის ტახტი გადავიდა საქართველოს მმართველი დინასტიის ხელში. აბხაზეთი შეიერთა საქართველომ 16 ს-მდე, როდესაც თავადმა შერვაშიძემ დაიბრუნა დამოუკიდებლობა. შერვაშიძეების მმართველი დინასტიის დროს აბხაზეთი თურქეთის სასულთნოს ხელქვეითი იყო. 18 ს-ში შერვაშიძეებმა რუსეთს სთხოვეს დახმარება, 1810 წელს რუსეთის მეფემ გამოსცა დადგენილება აფხაზეთის რუსეთის ქვეშევრდომად მიღების შესახებ.

1864 წელს რუსეთმა აფხაზეთის მთავარი შერვაშიძე გადაასახლა რუსეთში და აფხაზეთი შეუერთა რუსეთს. აფხაზი ერი 1866 წელს აუჯანყდა რუსეთს. 70 ათასი აბხაზი თურქეთში გადაასახლეს.

1866-1878 წლებში რუსეთის მეფემ სიტყვა „აფხაზეთის“ ხმარება აკრძალა. აფხაზების სახლები რუსეთიდან მოწვეულ ადამიანებს დაურიგეს. ამან შეცვალა აფხაზეთის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა, რის გამოც ქალაქ სოხუმში 20-ე საუკუნის დასაწყისში ცხოვრობდა 1 აფხაზი, 6 რუსი, 2 გერმანელი, 5 მეგრელი, 10 ბერძენი, 3 ესტონელი და 1 ბულგარელი (ქართველები არ წერია ნ. ფ.)... 1917 წელს აფხაზთა ეროვნული საბჭო შეიქმნა. 1921 წელს შეიქმნა აბხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა, იმავე წლის დეკემბერში ის შეიყვანეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში სამოკავშირეო ხელშეკრულებით. რუსეთმა

„კულტურული რევოლუციის“ საშუალებით დაუმახინჯა აფხაზებს ეროვნული თვითშეგნება. ხუთჯერ შეცვალეს აბხაზური ენის ანბანი: ჯერ ლათინური იყო, შემდეგ რუსული ანბანი შემოიღეს, 1938 წელს ქართულ ანბანზე გადაიყვანეს აბხაზური ენა, 1954 წელს კი რუსული ანბანი დააბრუნეს. პერიოდული პრესა აბხაზეთში 1954 წლიდან გაჩნდა აბხაზურ ენაზე. 1932 წლამდე აბხაზური I და II კლასებში ისწავლებოდა, შემდგომ წლებში 1-4 კლასებში, 5 კლასიდან კი რუსულ ენაზე სწავლობდნენ აბხაზი მოსწავლეები. აბხაზები დღეს ეროვნულ უმცირესობას წარმოადგენენ თავიანთ სამშობლოში. ამის მიზეზია სხვა ეროვნებების ჩამოსახლება და ქართველების მოზღვავება. 1979 წლის აღწერით აფხაზეთში 17% იყო აფხაზი, მაშინ, როდესაც ქართველი იყო 44%, რუსი 16%, სომეხი 15%. 1989 წელს საქართველოს მთავრობის წინაალმდეგ აფხაზების გამოსვლები დაიწყო.

**მასალა მოამზადა ნათელა ფოფხაძემ**

*ოსტიაკები (შოპენი „რუსეთი“, 1860 წ. ფრანგულ ენაზე)*



*რუსების აბანო (შოპენი „რუსეთი“)*



# რისთვის მცემა „ომონმა"?

## ანუ დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოს ხელკეტებით და მობოდიშებით ვერ ააშენებთ, ბატონებო!

მესამე გვერდიდან

ის" გატაცებას და სასახლეების აშენების ბუმის მოტრფიალეებს დროა სინდისი ეყოთ და ამ ჭაობში ჩაძირულ ხალხს დახმარების ხელი გაუწოდონ. (მე 1953 წელს საინგილოს სოფელ ალიაბადში ისტორიის მასწავლებლად დავიწყე მუშაობა. ხელმოკლეობისაგან ორად ორი პერანგი მქონდა, ერთი ობოლი კლასის მოსწავლეს ჩავაცვი. დღესაც კმაყოფილი ვარ).

3. **ქალის შესახებ:** ოდითგანვე ქართველი ქალს გარეგნული სილამაზით, ოჯახისა და ქმარ-შვილის, ნათესავ-მეგობრების სიყვარულით და სტუმარმასპინძლობით მსოფლიოში ბადალი არ ყავდა. ის სიმამაცით და სიბრძნით სავსე ვაჟკაცების გაზრდით იყო ცნობილი. სამართლიანად უწოდეს მას დედაბოძი. საქართველოში ქალი კერის ფუძემდებლად ითვლებოდა. ასეთი მტკიცე კერები რომ არ გვქონოდა, ერის და ქვეყნის დაღუპვა გარდაუვალი იყო.

რა ხდება დღეს?

ღალატმა, სავარძლებისათვის ბრძოლამ, ამბიციურობამ, შურიანობამ, ქიშპობამ, შენ-ჩემობამ, ქარაფშუტული ცხოვრების ტრფიალმა, ურთიერთმტრობამ, სიძულვილმა და სხვა მრავალმა ფაქტორმა, პირველ რიგში, მტკიცე ქართული კერა მოშალა. მძიმე სოციალურმა კატაკლიზმებმა ქალი ქუჩაში, ბაზრებში გამოდევნა, კდემამოსილება, მორცხვობა, მამაკაცისადმი მორიდების გრძნობა დააკარგვინა. გადახედეთ, უცხო თვალს ეგონება მთელი საქალეთი ქუჩაში სავაჭროდ და სამეძაოთაა გამოსულიო. ბაზრებში ბევრჯერ შევხვედრივარ ქალების მამაკაცისებრ ჩხუბს, გინებას, უნდა ითქვას, გამზავებლის როლშიც გამოვსულვარ. ასეთი დედები ცხრა ძმა ხერხეულიძეს, ცხრა ძმა ჩოლოყაშვილს, რუსთაველზე რომ არაფერი ვთქვათ, ილიას და აკაკის მსგავს შვილებს ვერ გაზრდიან.

ქვეყანაში მომრავლდნენ მეძავები. ის შესამჩნევად გაახალგაზრდავდა, 10-12 წლის გოგონები ჩაითრია, საქართველოს საზღვრებს გასცდა, თურქეთი და საბერძნეთი მოიცვა. გოგონები ურცხვად მიეძალნენ სიგარეტსა და ალკოჰოლურ სასმელებს. ბარები და რესტორნები ასეთი გოგონებითაა გამოტენილი. ქალი, სიცოცხლის სიმბოლო გვეღუპება, დროა განგაშის ზარები ავახმიანოთ, თორემ გვიანი იქნება. ერსა და ბერს მახათას მთიდან გადმომდგარი ქართველი დედა პასუხს მოგვთხოვს, ქვეყნის გადაგვარებას არ გვაპატიებს.

4. **სოფლის მეურნეობა და მრეწველობა ოდითგან ქართველი ერის კეთილდღეობის საფუძველს წარმოადგენდა.** დღეს გაჩერებულ-გაძარცულია. დაყაჩალდა კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, ფაბრიკა-ქარხნები, დაზგები, სტრატეგიული ნედლეული საზღვარგარეთ გავიდა, იქიდან უხარისხო საკვები, პროდუქტები და ძონძ-მანძები შემოვიდა. მიწების და საწარმოების „პრიხვატიზაციამ" ეკონომიკა გააჩანაგა. მაღალკვალიფიციურმა სპეციალისტებმა საქართველოდან საზღვარგარეთ გასვლა არჩიეს. ასიათასობით ქალმა და მამაკაცმა მშობლიური კერა დატოვა. ქართველ მეფეებს ხელოსნები და განათლებული ადამიანები სხვა ქვეყნებიდან ჩამოჰყავდათ, ჩვენ კი გარეთ ვერეკებით.

5. **ქურდობამ, ყაჩაღობამ, ძარცვამ, მკვლელობამ აპოგეას მიაღწია.** ციხეები ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდებითაა გამოტენილი. განსაკუთრებით დამაფიქრებელია სისასტიკით ჩადენილი მკვლელობები. კაცის კვლა ქათმის კვლას გაუტოლდა. ტელევიზიის ეკრანიდან ყოველდღიურად 3 ან 4 კაცის მკვლელობას ვისმენ. 25 სექტემბერს ვიდეოპატრულმა 8 ახალგაზრდის მკვლელობის ფაქტი გადმოსცა. ნუ გავიწყდებათ, ბატონებო, წელიწადში 365 დღეა. მივუმატოთ ავარიებში დაღუპულთა რიცხვი და ჩვენი უბედურება სახეზეა.

6. **განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დეგრადაცია.** ამ უმთავრეს კერებში ფეხი მოიკიდა კორუფციამ, მექრთამეობამ, გულგრილობამ. მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას მკურნალობის საშუალება მოესპო, განათლება ფასიანი გახდა, თეატრებსა და კინოფილმებზე დასწრება მისაწვდომი მხოლოდ




რჩეულთათვის გახდა. ახალგაზრდობამ წიგნზე გული აიყარა, რაშიც დიდი როლი უცხოურმა ტელეფილმებმა, ბრმა მიმბაძველობამ და დასავლურმა პროპაგანდამ განაპირობა. ნუ გვავიწყდება, ბატონებო, ქართველებს სახელმწიფოებრიობა და მაღალი ყოფითი კულტურა გერმანელებზე, ფრანგებზე ადრე ჰქონდათ, ამერიკელებზე და თურქებზე ლაპარაკი ზედმეტია. დროა გონს მოვეგოთ, წინაპართა ტრადიციები აღვიდგინოთ. იქნებ სჯობს დასავლეთმა ჩვენგან ისწავლოს. დასავლეთს ბრმად ნუ მივენდობით, გადავხედოთ ისტორიას, მათ ღვთისანაბარად ბევრჯერ მიგვატოვეს. მათი ფსიქოლოგია მერყევი იყო და მერყევად დარჩება. ის სხვისთვის თავს არ აიტკივებს, მისთვის საფიცარი დოლარია. ღიმილით და დაპირებებით ბევრი შემოვა, მარამ წავა თუ არა, აღარ ახსოვხარ. ასე რომ, დროა ჩვენ თავს თვითონვე მივხედოთ, გადასარჩენად და ასაღორძინებლად მცირე დრო დაგვრჩა!...

7. **მოსახლეობაში, განსაკუთრებით ახალგაზრდობაში, პატრიოტიზმის ჩაკვდომა:**

ქართველთა უმძლავრესი იარაღი მუდამ პატრიოტიზმი იყო. ქართველი მამულიშვილი ყველაფერზე მაღლა სამშობლოს სიყვარულს აყენებდა. მტრის შემოსევისას ქუდზე კაცი უყოყმანოდ გადიოდა, ხშირად ტოლს არც ქალები უდებდნენ, სიამაყით ვიხსენებ მაია წყნეთელს, ანა ბაჯის, თამრო ვაშლოვანელს, თინა წავკისელს, მტრისთვის ზურგის ჩვენება ჩვენი მეომრისთვის სიკვდილის ტოლფასი იყო, ომში თავლაფდასხმულს კაცად არ თვლიდნენ, სალამს არ აძლევდნენ, მასთან ღვინოს არ სვამდნენ. პურს არ სჭამდნენ. დღეს რა დაემართათ მათ შთამომავლებს, მტრებს, ზურგი რატომ ვუჩვენეთ, თავს ლაფი რატომ დავისხით, აფხაზეთი და ე. წ. სამხრეთ ოსეთი რატომ დავკარგეთ. ჩვენს მკერდზე ძუძუნაწოვი მეზობლები ასე რატომ გაგვითამამდნენ, ისე გათავხედდნენ, ჩვენს კანონებს პატივს არ სცემენ, შესვლაზეც კი ნებართვას გვთხოვენ. იმიტომ, რომ ერმა და ბერმა სამშობლოს სიყვარულს დოლარის სიყვარული ანაცვალა, მამულზე მაღლა სავარძელი, ვოიაჟი და სასახლეები დააყენა.

ბატონო ედუარდ, ისტორიკოსი ბრძანდებით, ფარსმან პირველმა პართიელებთან ბრძოლის წინ ქართველ მეომრებს, როგორი მგზნებარე სიტყვებით მიმართა: „აქ, ჩვენთან ნამდვილი გმირები და ვაჟკაცები არიან, ხოლო იქ, იმათთან სიმდიდრეა, რომელიც ჩვენი ნადავლი უნდა გახდეს."

ასე მიმართა მეფემ, და ბრწყინავლად გაიმარჯვა კიდეც. ან როგორ შეხედა იმპერატორ ადრიანეს ელჩობას.

ფარსმან „ქველს" კი, რომელმაც რომაელები გააოცა, მეომრული ოსტატობისათვისა და რაინდული თავდაჭერისათვის მარსის მოედანზე, უბელო ცხენზე ამხედრებულს ქანდაკება აღუმართეს. ჩვენმა სარდლებმა კი...

ახალგაზრდობის მოზრდილი ნაწილი საქართველოს ჯარში სამსახურს თავს არიდებს. მათი დიდი ნაწილი უსაქმურად „ბირჟებზე" ალამებს და ათენებს, თავს დომინოს, კარტის თამაშით, ალკოჰოლითა და ნარკოტიკული ნივთიერებით იქცევს. ასეთ ახალგაზრდებს პატრიოტობას ვერ მოვთხოვთ. სანადიროდ ძალით შეყვანილ მეძებარივით შედეგს არ მოგვიტანს. მტერს ზურგს უჩვენებს. ასეც მოხდა, ღმერთმა ნუ ქნას ომი დაიწყოს, მომავალშიც ასე იქნება, გამარჯვებას პატრიოტიზმთან ერთად, მძლავრი ეკონომიკა და ხალხის ერთობა სჭირდება, რაც ჩვენ არ გაგვაჩნია — აი, საშიში აისბერგი.

8. **ინტელიგენცია** — საქართველოს ოქროს ფონდი — სულს ლაფავს. პროფესორები, მასწავლებლები, ექიმები, ინჟინრები შიმშილით იხოცება. ბევრმა პროფესია მიატოვა, შოფრობა დაიწყო, ბევრი სავაჭრო ჯიხურში ჩადგა. ბევრმა ოჯახი შიმშილს რომ გადაარჩინოს, დოცენტობას დარაჯად ყოფნა არჩია. ზოგმა რა და ზოგმა რა. ასე რომ, „ოქროს ფონდი" გაიძარცვა. საქართველოს, ნუ დაგვავიწყდება, ინტელექტის ქვეყანას ეძახიან. რას მოგვიტანს ასეთი ვითარება მალე გამოჩნდება?! ამიტომ, დროა ზომები მივიღოთ, თორემ...

9. **ანტისანიტარია, ინფექციურ და სხვა დაავადებათა აფეთქება,** მის წინააღმდეგ უმწეო ბრძოლა და მოსალოდნელი კატასტროფა დამაფიქრებელია.

10. **ბიუჯეტის არასტაბილურობა.** სახელმწიფო აპარატში, პარლამენტში, სხვადასხვა ინსტიტუტებში და პარტიებში კორუფციის ზრდა, მის წინააღმდეგ უგერგილო ბრძოლა, მაფიოზური სტრუქტურების ცხოვრებაში გააქტიურება. საქართველოს შიდა ვითარება, აი, ასე მესახება, ღმერთმა ქნას ვცდებოდე.

ეგრეთწოდებული შიდა აისბერგებს დავამატოთ გარეშე აისბერგები:

1. აფხაზეთის და ე. წ. სამხრეთ ოსეთის დაკარგვა. უამრავი იმედდაკარგული ლტოლვილი.

2. არასტაბილური ვითარება მესხეთ-ჯავახეთში, ნაწილობრივ კახეთში, ახმეტის რაიონში.

3. გარდაბანის, დმანისის, ბოლნისის, მარნეულის რაიონებში აზერბიჯანული ეთნოსის არნახული მომრავლება და ეკონომიკური სიძლიერე. კომუნისტების მმართველობის პერიოდში კანონით მრავალცოლიანობა სასტიკად აკრძალული იყო. დღეს მრავალცოლიანობა და მრავალშვილიანობა სახეზეა. ქართულ მიწებსაც, ჩვენივე დახმარებით უხვად დაეუფლნენ. ამასწინათ ტელევიზორის ეკრანიდან გვაჩვენეს აზერბაიჯანელი მოქალაქე, რომელიც უჩიოდა გარდაბნის რაიონის ხელმძღვანელობას აზერბაიჯანელ მოსახლეზე მიწების გაყიდვისათვის. დაახლოებით ასე ამბობდა:

„ქართველი ხელმძღვანელები აზარბაიჯანელებზე მიწებს ჰყიდიან, ამ სიტყვებისათვის ნურავინ იფიქრებს მე ჩემი ხალხის მტერი ვარ. მე მაშინებს ის, რომ დადგება დრო, ქართველები თავიანთ დაკარგულდ მიწებს მოიკითხავენ. ამას შეიძლება მტრობა და სისხლი მოჰყვეს, მე მსურს ამისგან ჩემი ხალხი დავაზღვიო.

აზერბაიჯანელმა კაცმა განგაშის ზარს ხელი ჩამოჰკრა, ჩვენ კი ერეკლე მეფე ლეკიანობას როგორ ებრძოდა, ძალიან მალე დაგვავიწყდა.

მეზობლებთან კეთილ ძმურ ურთიერთობას მხარს ვუჭერ, მაგრამ ეს ორმხრივი უნდა იყოს და არა ცალმხრივი, როგორც აზერბაიჯანის მხრიდან ხდება საინგილოში.

გაზეთ „საქართველოში" 22.09.98 წ. №58-ში დაიბეჭდა ზაქათალის რაიონის, სოფელ ალიაბადის მკვიდრის ზაურ ბალაევის სულისამაღელვებელი მიმართვა პრეზიდენტების ჰეიდარ ალიევისა და ედუარდ შევარდნაძისადმი სათაურით „საინგილოს ქართველობა შველას ითხოვს!" ბალაევი (ბალიაშვილი) ორივე პრეზიდენტს ინგილო ქართველების უფლებების დაცვას სთხოვს, რომელიც ადგილობრივი ხელისუფლებისაგან შელახულია. ზომების მიუღებლობის შემთხვევაში ბალაევი ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს მიმართავს, აი, სადამდე მიდის საქმე. მე ბალაევის წერილი გულთან ძალიან ახლოს მივიტანე, ამის მთავარი მიზეზია ის, რომ ყველაზე მძიმე წლებში, სტალინის გარდაცვალების შემდეგ, როდესაც აქ ქართული სკოლებისა და მოსახლეობის შევიწროება დაიწყეს, სოფელ ალიაბადის ქართულ საშუალო სკოლაში ისტორიის მასწავლებლად ვიმუშავე, ბევრი დარტყმა საკუთარ თავზე გამოვცადე. ეს ხალხი გულით შევიყვარე, დღემდე მიყვარს, მათ მეგობარი და მოჭირნახულე ვარ, პოლიციას, პოლკოვნიკ ქევხიშვილს როდი ვგევარ. სოფელი ალიაბადი ალაზნის მარცხენა მხარეს, ფართო ველზეა გაშენებული, კაკლის, თხილის, მსხლისა და ვაშლის ბაღებშია ჩაძირული, ორიათასამდე კომლი ქართველი მაჰმადიანი ინგილო ცხოვრობს. ხალხი ალალი, კეთილი, გულღია და სტუმართმოყვარეა. პირველი გაკვეთილი კლასში ჩავატარე. სია ამოვიკითხე: ბალაევი, აბდურახმანოვი, აჯიევი, მუსაევი, გალაზოვი, ნასტაგალოვი და 20-მდე ასეთი გვარი ამოვიკითხე. სუნთქვა შემეკრა, თვალწინ მათი წინაპრები — თარხნიშვილები, ბაბალაშვილები, დათუნაშვილები, იაშვილები, ვაჩნაძეები, და ერისთავები და სხვანი დამიდგნენ, ერთ დროს ამ სახელოვანი გვარების შთამომავლებს შაჰ-აბასის სუსხიანი ხმლის ნაკვალევი მშვენიერ სახეზე და მიმქრალ თვალებზე, საუკუნეების მიუხედავად კიდევ აჩნდათ. ინგილოები ჭეშმარიტად მიყვარს, კალმით და საქმით მათი კეთილდღეობისათვის ვიზრუნებ და არც დავიშურებ, თუ 23 სექტემბერს „ომონელებისაგან" ნაგვემი ფეხი, თავი და გვერდები არ მილალატებენ.

ბატონო ედუარდ, მამულიშვილებო, წერილის დასაწყისში ომონელთა დასახასიათებლად სიტყვები არ დავიშურე. ეს იმ უდიდესმა სულიერმა და ფიზიკურმა ტრამვამ განაპირობა, რაც სრულიად უდანაშაულო, ღვაწლმოსილ კაცს ახალგაზრდა, ჩემი შვილების ასაკის ომონელებმა მომაყენეს. ეს კი იმდენად დიდია, ჭრილობა იმდენად ღრმა არის, არასდროს აღარ გამთელდება. ახალგაზრდობის მოჭირნახულე პედაგოგს მათდამი რწმენა შემერყა იმ ფაქტის შემდეგ, რაც 23 სექტემბერს მოხდა.

როგორც ზევით აღვნიშნე,



ამ „ნარჩევ" ახალგაზრდებს კეთილი შურით ვათვალიერებდი, აკაკიც მოვიდა, მომიკითხა, მთხოვა ათიოდე წუთი კიდევ დავლოდებოდი და გაუჩინარდა. მოულოდნელად ჩოჩქოლი ატყდა, ომონელებმა ზვიადისტები სასტუმროსაკენ გარეკეს, მე მათგან სამოციოდე ნაბიჯით ვიყავი დაშორებული. ზურგში და გვერდებში მოულოდნელად მძიმე დარტყმა ვიგრძენი. ხუთი ბრგე ომონელი მეცა და თრევა დამიწყო. რა გინდათ ჩემგან, რა დავაშავე, ძლივს მოვასწარი თქმა, რომ ერთ-ერთმა ფეხი წვივის ძვალში დედის გინებით ისე გამეტებით ჩამარტყა, ჩავიკეცე. ის იყო წამოვიწიე, მეორემ, კეფის მარცხენა მხარეს, მესამემ კი მარჯვენა მხარეს დევივით მუშტი მითავაზა. არც სხვები ჩამორჩნენ, უშვერად მაგინებდნენ და მირტყამდნენ. დავვარდი მეორედ, ახლა მომეშვნენ და დანარჩენებისაკენ გაიქცნენ. გონება მომიბრუნდა, წამოვდექი და შეგროვილ ხალხს მივმართე:

— ხალხო, კარგად ხედავდით, ჩემთვის მარტო მდუმარედ ვიდ-

გაგრძელება მეთერთმეტე გვერდზე

# მძღოლთა საყურადღებოდ!
## მალე საგზური ბარათები ისევ გამოჩნდება

ავტოტრანსპორტის გამართული თუ გაუმართავი მუშაობა, პირდაპირ ასახვას პოულობს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში. ამ სისტემის საზოგადოებისათვის უკეთ გაცნობის მიზნით, ქალაქ თბილისის ავტოტრანსპორტის რეგიონალური სამმართველოს უფროსს, ბატონ **ვასილ ბაიაშანს** გავესაუბრეთ.

ბატონმა ვასილმა გვნაცხადა, რომ საქართველოს კონსტიტუციის, კანონმდებლობის, პრეზიდენტის 1997 წლის 22 სექტემბრის №528, საქართველოს სატრანსპორტო პოლიტიკის კონცეფციისა და 1998 წლის 30 აპრილის №282 საქართველოს ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების შემცირების პროგრამების შესახებ ბრძანებულებების საფუძველზე, საქართველოში საავტომობილო ტრანსპორტის სახელმწიფო მართვის მექანიზმის



ჩამოყალიბებისა და ამოქმედების მიზნით, პირველი ოქტომბრიდან მოქმედებაში შემოდის სატრანსპორტო საგზური ბარათი. დოკუმენტს უკვე საბოლოო სახე აქვს მიცემული და მას მხარი დაუჭირა ოთხმა სამინისტრომ და ორმა დეპარტამენტმა. კერძოდ, ტრანსპორტის მინისტრმა, ფინანსთა მინისტრმა, ეკონომიკის მინისტრმა, შს მინისტრმა. საქართველოს სტანდარტიზაციის და სერთიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტის ერთობლივი ბრძანებაა, რომლის საფუძველზეც გამოდის ერთიანი სატრანსპორტო საგზაო ბარათი. იგი სავალდებულო იქნება ყველა სახის სატრანსპორტო საშუალებებისათვის.

საქართველოში საგადასახადო სისტემის და აღრიცხვის სრულყოფის მიზნით, სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის, შესრულებული სატრანსპორტო სამუშაოთა აღრიცხვის, მოძრაობის უსაფრთხოების, ტექნიკური, ეკოლოგიური, სტატისტიკური, ფინანსური ანგარიშსწორების, ნორმებისა და წესების მოთხოვნის დაცვის მიზნით ხორციელდება ეს ამოცანა. საგზაო-სატრანსპორტო ბარათი სავალდებულოა ყველა ავტოსატრანსპორტო საშუალებისათვის, რომლებიც კომერციულ საქმიანობას ახორციელებენ.

ამ ბარათის გარეშე სადგომი ადგილიდან გასვლა ეკრძალება ყველა სატრანსპორტო საშუალებას. მისი გაცემა დავალებული აქვს ტრანსპორტის სამინისტროს, ტრანსპორტის დეპარტამენტს, რომელიც ფასიანი იქნება, ზღვრული ღირებულება კი 21 თეთრია. ამით აღირიცხება შესრულებული სატრანსპორტო სამუშაოები. ამით მოგებას ნახავს სახელმწიფო ბიუჯეტი.

რაც შეეხება საგზაო ბარათების გავრცელებას, ამას უზრუნველყოფს შესაბამისი პუნქტები.

სხვათა შორის, ადრეც იყო საგზაო ფურცლები და ადრე ვისთანაც გვქონდა კონტაქტი, ეს იქნება ფიზიკური თუ იურიდიული პირები, ყველანი მიესალმებიან ამას.

ჩვენც ჩვენის მხრივ, მივესალმებით ნებისმიერ ცდას, არალეგალური ე. წ. მარცხენა შემოსავლები ლეგალური გახადოს და ამით სერიოზულად არგოს როგორც სახელმწიფო ბიუჯეტს, ასევე გვერდში დაუდგეს ავტოტრანსპორტის მფლობელს, რომელიც ამ ბარათის მეშვეობით დაცული იქნება პოლიციისა თუ სხვა თავნება ჩინოვნიკების „თავდასხმისაგან".

**კობა კაპანაძე**

# რისთვის მცემა „ომონმა"?
## ანუ დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოს ხელკეტებით და მობოდიშებით ვერ ააშენებთ, ბატონებო!

მეათე გვერდიდან

ექ, რატომ დამიწყეს თრევა, გინება და უმოწყალო ცემა, მამისტოლა კაცს, ღვაწლმოსილ პედაგოგს! — ყველა დუმდა, ერთმა ახალგაზრდამ მითხრა:

— ან ვილაცაში შეეშალეთ, ან თქვენზე ხელები გაივარჯიშეს!

მეორემ დაამატა:

— იმიტომ გცემეს, რომ ხალხი დააშინონ, მეორედ აქ აღარ მოხვალთ, შეგროვილი ხალხი ჩემს გოდებას მდუმარედ ისმენდა, ნუგეშს არავინ მაძლევდა, უსიცოცხლო ნაღვლიანი თვალებით მიყურებდა და თავს აქეთ-იქით აქანავებდა. ორი ახალგაზრდა შევნიშნე, ხელში ერთს მიკროფონი ეჭირა, მეორეს — ვიდეო-აპარატი. ვუთხარი, რაც დამმართეს. მათ ღიმილით მითხრეს:

— მაგათი მუშტები და წიხლები ბევრჯერ ჩვენც მოგვხვედრია, ასეთი პროფესია აქვთ!

„ომონელებმა" ზვიადისტები გარეკეს, გამარჯვებულის იერით ავტობუსებში ჩასხდნენ. საჭესთან „ომონის" პოლკოვნიკი შევნიშნე, საყოველთაოდ ცნობილი მღებრიშვილი აღმოჩნდა. მივედი, პროტესტი განვუცხადე. სიმართლე უნდა ითქვას, მან ყურადღებით მომისმინა და თავის აღზრდილებს ოდნავ ბრძანების კილოთი უთხრა:

— ამ დარბაისელ, უდანაშაულო პედაგოგს რატომ სცემეთ!

ათიოდე წუთის წინ მხეცებად ქცეულმა პალაჩ-ხულიგნებმა, უფროსს მამა აბრამის ბატკნებივით შეხედეს და თავები ძირს დახარეს. მღებრიშვილმა ბოდიშებით გამომისტუმრა, მაგრამ თავისა და ფეხის სასტიკმა ტკივილმა, გულისრევის შეგრძნებამ და საშინელმა შეურცხყოფამ მოსვენება დამიკარგა. ფილარმონიის წინ მოადგილეებით შემოჯარული ქალაქის პოლიციის უფროსი ალავიძე შევნიშნე. მისკენ გავემართე. ტროტუარზე რუსთავის ტელევიზიის მუშაკებს გადავეყარე. მათ ჩემი წუხილი ჩაიწერეს და დაჟიჟული ფეხი გადაიღეს. კოჭლობით მივედი ალავიძესთან და „ომონელთა" „საგმირო" საქმეზე მოვახსენე. მოადგილეების განსხვავებით, მან წუხილი და შეშფოთება გამოხატა, რამოდენიმეჯერ ბოდიში მომიხადა, სამწუხაროდ, ომონის შემრცხვენელნი მათ რიგებში გვხვდებიანო, მითხრა და ღიმილით გამომაცილა. პოლკოვნიკმა ქევხიშვილმა დაჟეჟილობის სიახლეში ეჭვი შეიტანა, თავი უხეშობით გამაცნო, რითაც ალავიძის შენიშვნა დაიმსახურა.

სახლამდე ძლივს მივაღწიე. თავბრუ მესხმის, ვგრძნობ თავის საშინელ ტკივილს, გულის რევას, წნევამ ამიწია. ფეხზე გაბზარვის შეგრძნება დამეუფლა. ღამე მომცა სიცხე, თვალებში სინათლე დამაკლდა, დამეწყო გულის რევა, ექიმმა წამლები და წოლითი რეჟიმი დამინიშნა. მჯერა, გამოვჯანმრთელდები, მაგრამ დაკოდილ სულს რა ვუყო...

„ომონელებო", გამეცით პასუხი, თქვენთვის არავითარი წყენა არ მომიყენებია, არც საზოგადოებრივი წესრიგი დამირღვევია, რამ გაგაცოფათ, რომ მოხუცი პედაგოგი არ დამინდეთ, ფაშისტივით მომექეცით და თქვენზე რწმენა დამიკარგეთ. არა, ასე დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოს ვერ ააშენებთ. ხელკეტებით და ცემატყეპით ერს ვერ დააშინებთ, იცოდეთ, სამართალი პურს სჭამს. მე შეიძლება ფიზიკური და სულიერი შეურაცხყოფა პიროვნულად მეპატიებინა, უფროსების, შესაძლებელი გულწრფელი ბოდიშებით დავკმაყოფილებულიყავ, მაგრამ იმის გაფიქრება, თუ თქვენ ამ გაუნათლებლობით, თვისტომის ზიზღით, უფროსუმცროსობის ფეხქვეშ გათელვით, როგორ ზიანს მოუტანთ ერსა და მამულს, გადავწყვიტე მორალური და იურიდიული პასუხი მოგთხოვოთ, რაც, ჩემის აზრით, არც თქვენთვის და არც ხელისუფლებისათვის საზიანო არ იქნება.

**მიხეილ ტიგაანელი**




# ახალი წიგნები

## ძვირფასი და სანახელავო ქვები

საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა გამოსცა წიგნი, რომელშიც დეტალურადაა აღწერილი ყველა ბუნებრივი ძვირფასი ქვა და ხელოვნურად, ადამიანის ხელით შექმნილი ძვირფასი ქვები, მათი თავისებურებანი, წარმოშობის ისტორია, სახესხვაობანი და ა. შ. განსაკუთრებით საინტერესოა საქართველოში არსებული ძვირფასი ქვების აღწერილობა, მოპოვების გზები და მეთოდები, მათი ხმარების ტრადიციები და სხვა. აქვე მკითხველი გაეცნობა ნამდვილი და ყალბი ქვების ერთმანეთისაგან გარჩევის მეთოდებს, ყალბი ქვების დამზადების ისტორიას და ბევრ საინტერესო ინფორმაციას მსოფლიოში არსებულ ძვირფას ქვებზე.

წიგნის ავტორები არიან სოხუმიდან დევნილი, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ვალერიან ზუხბაია და პროფესორი ნოდარ ფოფორაძე.

წიგნი განკუთვნილია როგორც სტუდენტებისათვის, ასევე მკითხველთა ფართო აუდიტორიისათვის.

# მართლმსაჯულება პრინციპების ერთგულებას ითხოვს...

„ელიზი"-„ომეგა"-ს გახმაურებულ საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს 1998 წლის 20 აგვისტოს განაჩენით, გარდა იმისა, რომ 12 განსასჯელს სხვადასხვა სასჯელები შეეფარდათ, ფირმა „ელიზი"-ს „ერთ-ერთი ხელმძღვანელიც" იქნა ცნობილი იმ ბანდის ორგანიზატორად, რომელმაც ორჯერ განახორციელა ბანდიტური თავდასხმა ფირმა „ომეგა"-ს თანამშრომლებზე. ამასთან, სასამართლო კოლეგიამ, განაჩენის 35-ე გვერდზე, ის სისხლის სამართლის საქმეც მოიხსენია, რომელიც 1997 წლის 4 ივლისიდან ცალკე წარმოებად იქნა გამოყოფილი, შემდეგ კი, ბანდის ორგანიზატორობაში ბრალდებულ თამაზ ელიზბარაშვილის ავადმყოფობის გამო, შეჩერებული.

ამავე განაჩენით ვგებულობთ, რომ საბრალდებო დასკვნით „ელიზელთა" ბანდიტურ ჯგუფის წევრებად მიჩნეული ზვიად ტურიაშვილი, დავით კოშკაძე, ტარიელ არველაძე, ტრისტან ჭოხონელიძე და ნიკოლოზ გიორგაძე მიმალვაში ყოფილან. ამ ხუთ მიმალულ ბრალდებულს ზურაბ ნიორაძესა და გიორგი ხრიკულს თუ დავუმატებთ, რომლებიც კანონიერ ძალაში შესულ განაჩენით შეფარდებულ სასჯელის მოხდისაგან თავის არიდების მიზნით ასევე მიმალვაში იმყოფებიან, გამოვა, რომ სისხლის სამართლის სამძებროს მუშაკებს შვიდი კაცი ჰყოლია მოსაძებნი — 5 ბრალდებული და 2 დამნაშავე. პირველ ხუთეულს უკვე ერთ წელზე მეტია უშედეგოდ „ეძებენ", ალბათ, ასეთივე „წარმატებით" გააგრძელებენ 2 დამნაშავის მოძებნასაც.

გარდა ამისა, ზემოთაღნიშნულ განაჩენში ჩამოთვლილია ის საკითხები, რომლებიც გასარკვევად დასახა პროკურატურამ ცალკე გამოყოფილი საქმის გამოძიებისათვის. კერძოდ:

— შ. პ. ს „ელიზი"-ს და შ. პ. ს. „ზურგის ქარი"-ს ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შემოწმება.

— შ. პ. ს. „ტრანსტექნიკასთან" გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულების კანონიერების შემოწმება.

— სხვადასხვა სატელეფონო სადგურების თანამშრომლების მიერ მოქალაქეთა სატელეფონო საუბრების საიდუმლოების დარღვევაში თანამონაწილეობის გარკვევა.

— დაუდგენელი პირების მიერ სხვადასხვა სისტემის ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალების ბანდიტური ჯგუფის წევრებზე გადაცემის ფაქტების დადგენა და სხვა.

ამრიგად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 1998 წლის 20 აგვისტოს განაჩენით №0897806 სისხლის სამართლის საქმის განხილვა დასრულდა, ხოლო ცალკე გამოყოფილ, №7497847 სისხლის სამართლის საქმეში ჯერ კიდევ ბევრი რამეა გასარკვევი, რის გარეშეც „ელიზი"-„ომეგა"-ს საქმე დამთავრებულად ვერ ჩაითვლება. რესპუბლიკის პროკურატურა, რომელსაც წელიწადზე მეტი აქვს ეს, ცალკე გამოყოფილი საქმე შეჩერებული, ჟურნალისტებს კი არა, ფირმა „ომეგა"-ს ადვოკატებს არ აძლევს ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ რა გაკეთდა ან რის გაკეთებას აპირებენ ამ საქმის დროულად დასამთავრებლად. კანონით აკრძალულია შეჩერებულ საქმეზე რაიმე ინფორმაციის გაცემაო. აი, მათი პასუხი, — პასუხი, რომელიც სიმართლის გარკვევის მსურველთა თავიდან მოცილების სურვილს უფრო გამოხატავს, ვიდრე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენისათვის პროკურორების ზრუნვას.

არადა, სიმართლის გარკვევას ვინმეს ახირება კი არა, მართლმსაჯულების პრინციპების ერთგულება ითხოვს, ერთგულება ...

**თამაზ ძველაძე**

# „ტოტო-ლოტოს“ მოყვარულთა საყურადღებოდ!

კვირას, 27 სექტემბერს ჩატარდა ლატარია „ლოტო 6-42“-ს და თანმხლები თამაშის „სუპერ-7“-ის 22-ე ტირაჟის გათამაშება.

„ლოტო 6-42“-ს მოგებახვედრილი რიცხვებია:

**11. 15. 27. 29. 38. 42.**

3 რიცხვი — 1.80 ლარი

4 რიცხვი — 12.50 ლარი

5 რიცხვი — საპრიზო ფონდი 509.25 ლარი გადავიდა მომდევნო ტირაჟში.

6 რიცხვი — „ჯეკ-პოტი“ 55 926 ლარი გადავიდა მომდევნო ტირაჟში.

„სუპერ 7“-ის მომგებიანი ციფრებია **6 7 0 4 5 9 8**

შემდეგი ტირაჟი შედგება 4 ოქტომბერს.

**„ჯეკ-პოტი“ 55.926 ლარი**

ითამაშეთ ლატარია „ტოტო-ლოტო“!

გისურვებთ წარმატებას!

*საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდი*

---

*გახსენება*

## კარლო კაპანაძეს

რამდენი წელი მიიწურა მას შემდეგ, რაც კარლო კაპანაძე წავიდა ჩვენი ცხოვრებიდან. საყვარელი მამა, ძვირფასი ბაბუა და ოჯახის ბურჯი.

დღესაც გაოგნებულები დავდივართ შენს საფლავზე, არ გვჯერა შენი გაუჩინარება, საზარელმა სიკვდილმა მოგისწრაფა შინაარსიანი სიცოცხლე, რომელსაც ესოდენ ეტრფოდი, ელოლიავებოდი და ძალიან გიყვარდა.

შენს საფლავზე არ ჭკნება ყვავილები, არ ქრება სანთლები, ახლობლები მუდამ შენს შესანდობარს ამბობენ, მაგრამ სული მაინც დამძიმებული გვაქვს, გვენატრები, ძალიან გვენატრები ყველას.

**შენი ოჯახი და ახლობლები**

---

სამძიმარს ვუცხადებთ რევაზ კვერენჩხილაძის ოჯახს დეიდაშვილის გარდაცვალების გამო.

**მეგობრები**

---

რამაზ მაჩაიძეს ვულოცავთ დაბადების დღეს, ვუსურვებთ ყოველივე კარგს. ყოფილიყოს ჯანმრთელი და ბედნიერი თავის მეუღლესთან ერთად.

*შენი კეთილისმსურველები — მშობლები, ვენერა და ვალიკო*

---

## განცხადებები

ვამზადებთ კარ-ფანჯრებს, ავეჯს, შეღავათიან ფასებში. ტელ: 76-88-33. ჰამლეტი

იყიდება 3-ოთახიანი კერძო სახლი ალექსეევკაში დიდი ეზოთი, გალით. ფასი შეთანხმებით. ტელ: 76-88-33. ჰამლეტი

ვამეცადინებთ მოსწავლეებს და აბიტურიენტებს ქართულ ენასა და ლიტერატურაში, საქართველოს ისტორიაში, ინგლისურ ენაში. ტელეფონი 25-23-24. იკითხეთ მზია.

ვყიდი ი. სტალინის თხზულებათა ცამეტტომეულს. ცამეტტომეულის დამატებად ვიძლევი სტალინის კიდევ რამდენიმე ნაშრომს. ტელ: 23-05-80

---

## როინ ლიპარტელიანს

დაბადების დღეს გილოცავთ, მთიელს, მთიელნი, მთიდანა,
გფარავდეს: სკალდი, ლაგვირკა, მაღალი ღმერთი ციდანა.
წინ გევლოს მამულისათვის, დიდი დავითის მცნებითა
ღვაწლისთვის შთამომავლობა, გიხსენიებდეს ქებითა.
ჩვენგან გულს დაჭრილს სამშობლოს ვუშველოთ ჩვენი გარჯითა,
მტერს ჰქონდეს სხვათა იმედი, სხვისი ვალის და ხარჯისა.
ასე ყოფილა, იქნება, ღამე დღეს უთენებია,
რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია.

**ვაჟა ლუდუშაური**
**ხევიდან**

---

# კროსვორდი



**თარაზულად:** 1. ჩაკეტილი საზოგადოებრივი ჯგუფი ინდოეთში; 5. ძვირფასი ქვა ან ნიჟარა რელიეფური გამოსახულებით; 8. კაცშემბული მსუბუქი ეტლი ინდოჩინეთში; 9. მამათა დახურული მონასტერი; 10. ზოგი ორგანიზმის უჯრედების გამონაყოფი წებოვანი ლიპი სითხე; 11. საზოგადოებრივი მდგომარეობით გაერთიანებულ ადამიანთა ჯგუფი; 12. დარბეული მტრისათვის წართმეულიი ქონება; 15. სიცოცხლის ხანგრძლივობის რომელიმე პერიოდი; 18. ამერიკელ ინდიელთა აბორიგენი ტომი; 29. გეოგრაფიულ რუკათა კრებული; 21. მოკლე წერილი; 22. რისამე მოქმედების სივრცე, გარემოცვა; 24. ბიბლიური სახელმწიფო, რომელსაც ერთი პერიოდი ემორჩილებოდა იუდეა ებრაელთა ტყვეობიდან გამოსვლის შემდეგ; 27. ზღაპრული ლამაზი გრძნეული ქალი; 30. ჯავშნიანი საბრძოლო მანქანა; 31. მესაქონლეობის ფერმა აშშ-ს დასავლეთში; 32. მკერავი ინსტრუმენტი; 33. გახვრეტილი წვრილი ბურთულების ასხმა, სამკაული; 34. ძველი სომხეთის დედაქალაქი; 35. მიცვალებულის მოსახსენიებელი ნადიმი.

**შვეულად:** 1. გამჭვირვალე ქაღალდი ხაზვისათვის; 2. დარდი, ნაღველი, კაეშანი. 3. ზღაპრული იგავი; 4. ექიმის თანაშემწე; 5. ხტუნია ვეგეტარიანი მწერი; 6. ფულის ერთეული გერმანიაში; 7. მთა საბერძნეთში, X საუკუნის ქართული ლავრის ადგილსამყოფელი; 13. სითხის საზომი ერთეული; 14. მამაკაცის ოფიციალური ზედა ტანსაცმელი, გულამოღებული და გრძელბოლოიანი; 16. გამოსახულების კარგად ამრეკლავი პრიალა ზედაპირი; 17. მძიმე ინფექციური დაავადება, ლეპრა; 18. რისამე წერილობითი ჩამონათვალი; 19. ტანსაცმლის სიღრმე მკერდთან; 23. პირი, რომელიც ცხოვრობს გასესხებული კაპიტალის სარგებლით; 24. საჭიდაო ილეთი; 25. მოკრივეთა ასპარეზი; 26. ქიმიური ელემენტის უმცირესი ნაწილაკი; 27. პატარა ლაქუცა ძაღლი; 28. გრძელი ბარიერი სცენის გასწვრივ, ძლიერი სანათი მოწყობილობებით; 29. გამოუწვავი აგური.

**წინა ნომრის კროსვორდის პასუხები:**

თარაზულად: 1. მაზლი; 4. არმია; 7. კვირა; 10. რემონტი; 11. რეალობა; 12. ასთმა; 13. იჯარა; 14. არსი; 15. გრდემლი; 19. ირაო; 21. სარი; 22. დიელექტრიკი; 23. კაბა; 25. აბგა; 28. ანაბარი; 30. იუდეა; 32. კოლბა; 33. ქრაქი; 35. ამირანი; 36. არქონტი; 37. ირიდა; 38. ირისი.

შვეულად: 1. მარგილი; 2. ზამბარა; 3. იონჯა; 4. არია; 5. მართვე; 6. აურა; 7. კოალა; 8. იპოთეკა; 9. აფალინი; 15. გრენა; 16. დრენა; 17. მიტრა; 18. იმიჯი; 20. ოდა; 21. სია; 23. არაქისი; 29. ბლანკი; 31. ასანა; 32. კექსი; 33. ქიქა; 34. იარა.

---


**კოკი და კომპანია**
Koki & Company

**გთავაზობთ**

ოფისების, ბინების, კაფე-რესტორნების, კომერციული ფართების, ბენზინგასამართი სადგურების, სალონების რემონტს, დიზაინს რეკლამას

ბინების, ოფისების, ქონების ყიდვა-გაყიდვა გაქირავება

თაყაიშვილის 1ა უნივერსიტეტის 1 კორ. პირდაპირ

☎ 29-30-79 მიღება ყოველდღე 10:00-17:00 კვირის გარდა


---

## მკითხველთა საყურადღებოდ!

რედაქციაში მკითხველთა უამრავი წერილი შემოდის, რომლებშიც ბევრი საგანგაშო, შემაშფოთებელი ფაქტია დაფიქსირებული მომხმარებელთა უფლებების დარღვევის, მათთვის ვადაგასული პროდუქციის, განსაკუთრებით უხარისხო, ფაქტიურად მომწამვლელი, კანცეროგენული და სხვა ტოქსიკური ნივთიერებების შემცველი საკვები პროდუქტების რეალიზების, მოქალაქეებზე ფალსიფიცირებული ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების, ძეხვეულობის, თევზეულობის და სხვა, ერის ჯანმრთელობისათვის მავნე პროდუქციის გასაღების ფაქტები.

თქვენ კარგად იცით, რომ პრეზიდენტის განკარგულებით ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს დაევალათ, გამოავლინონ და შესაბამისი ზომები მიიღონ ყველა იმ საამქროსა თუ მაღაზიის მიმართ, რომლებიც ყოველგვარი სანიტარული ნორმების დაუცველად აწარმოებენ და ყიდიან საკვებ პროდუქტებსა და სასმელებს. ჩვენ ვთვლით, რომ ეს მისასალმებელი საქმეა, მაგრამ ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს საზოგადოებაც უნდა ამოუდგეს გვერდით და ამ მიმართულებით მუშაობა საბაჟოებზეც გავრცელდეს, რადგან, მოგეხსენებათ, უვარგისი იმპორტული საქონელი სწორედ იქიდან შემოდის.

გაზეთის რედაქციამ გადაწყვიტა საკუთარი წვლილი შეიტანოს ამ სასიკეთო წამოწყებაში და ადგილობრივი გამგეობების ხელმძღვანელებთან შეთანხმებით, მკითხველთა წერილების და სატელეფონო ზარების საფუძველზე გამოავლინონ ისეთი საამქროები თუ მაღაზიები, სადაც მომხმარებელთა ყოველგვარი უფლება ირღვევა. ამ მიზნით რედაქციაში შეიქმნა სამართლისა და რეგიონალური პოლიტიკის განყოფილება, რომელსაც სპეციალური ბრძანებით დაევალა ამ საკითხებზე მუშაობა.

ჩვენ ვთხოვთ ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ხელმძღვანელებს, სანიტარული სამსახურის მუშაკებს, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს და სხვა, შესაბამისი უწყებების სპეციალისტებს, დაგვიდგნენ გვერდით და მომხმარებელთა მრეწველთა უფლებების დარღვევის ყოველი ფაქტი ჩვენი გაზეთის, სხვა საინფორმაცო საშუალებების მეშვეობით დღის სინათლეზე გამოვიტანოთ.

**გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია**

---


მთავარი რედაქტორი
**სერგო ჯანაშია**

**ტელეფონები:**
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447

გაზეთის დირექტორი: ელგუჯა ჩხაიძე

რედაქცია: გია თვალავაძე (რედაქტორის მოადგილე), ზაზა ალადაშვილი (კომერციული დირექტორი), კობა კაპანაძე (სამართლისა და რეგ. პოლიტიკის განყ. გამგე), თემურ კოზოლაშვილი (რეალიზაციის განყოფილების გამგე), კორესპონდენტები: კობა ბრეგვაძე, ქეთი ჩადუნელი, ქეთი გეჯაძე, ხათუნა ხატიაშვილი, ნათია ჭანტურია, მანანა ლობჟანიძე, ნანა ძველაია.
კორექტორები: ამალია გოგრიაშვილი, ამრიტა ჯანაშია

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხს ავტორები აგებენ

დამფუძნებელი და გამომცემელი საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444